ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge


გვ.5

## საქართველოს მთავრობა სურსათის 9 ძირითად პროდუქტზე ფასს აზღვევს

## ახალქალაქში, ენზელ მკოიანის სახლთან, სროლა იყო

გვ.5


პარასკევი, 27 მარტი, 2020 №73 (8337) ფასი: 60 თეთრი

# „ნაკლებად საშიში პატიმრები ციხეებიდან უნდა გამოუშვან“


გვ.3

## შალვა ხაჭაპურიძე: „გააფორმონ საპროცესოები და ბიუჯეტშიც ფული შევა“




გვ.3

## ლევან ალაფიშვილი: „მთავრობას ვურჩევ, შიშის დრო არ არის. სოციალური ფონი ძალიან დამძიმდება“

## სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ მილიონერები უნდა დაბერტყოს!“

„აუცილებელია შეზღუდვების უფრო გამკაცრება“


გვ.2

## ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლებამ ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მოქმედებები უნდა გააკონტროლოს“


გვ.4


გვ.4

## „ზუგდიდში ვინც ხალხი შეკრიბა, პასუხს აგებს“

გიგა ბუკია: „ზოგს სააკაშვილი მეფე ჰგონია“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ლარს ხელოვნურად ხომ არ აუფასურებენ?!“


გვ.4

„ხელისუფლებამ ამას დროზე უნდა მიხედოს“

## ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში საკარანტინო ზონის კონტროლი გრძელდება

გვ.2



ISSN 1987-9385

2 ქუთაისში დააკავეს მამაკაცი, რომელსაც საკუთარი და ოთახში დამწყვდეული ჰყავდა

2 სახელმწიფო ინსპექტორმა თეა წულუკიანის უწყება 1.000 ლარით დააჯარიმა

5 ქუთაისში ფოსტის ჯიხური გატეხეს

6 მსოფლიოს ნახევარი სრულ ან ნაწილობრივ იზოლაციაშია

# სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ მილიონერები უნდა დაბერტყოს!“

## „აუცილებელია შეზღუდვების უფრო გამკაცრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***— ბატონო სანდრო, ხელისუფლების მუშაობას როგორ შეაფასებთ?***

— ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ქართველი ექიმების მუშაობა, სახელმწიფოს მუშაობა და ხალხის ქცევა. ქართველი ექიმების მუშაობა არის კოლოსალური შრომა, უმაღლესი პროფესიონალიზმი და უდიდესი გულისხმიერება.



ხელისუფლება მუშაობს გულმოდგინედ, მაგრამ ვაგვიანებთ თითოეულ წუთს. დღეს რომ გამოდის ვანო ჩხარტიშვილის სიძე, ვითომ ოპოზიციაში რომ არის, გიორგი ვაშაძე და რომ აცხადებს, სწრაფი ტესტებიო, ამაზე ორი კვირის წინ ვეუბნებოდით ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენ დაბლოკილები ვართ ტელევიზიებში, მათთვის კი კარი ღიაა. როგორც კი პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ მივმართეთ ხელისუფლებას, რომ ჩაეკეტა საზღვრები. მათ მითხრეს, რომ მთელი მთავრობა მოწადინებულია, საზღვრები ჩაიკეტოს, მაგრამ, დღეს რომ საზღვრები ჩაიკეტოს, გამოვა, „ქართული მარშის“ მოთხოვნას დავყევით და ქსენოფობებად მოგვნათლავენ ჩვენო. არ ჩაკეტეს საზღვრები და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ახლა ჩვენ ვეუბნებით, რომ სასწრაფოდ უნდა შემოიღონ კომენდანტის საათი, მასობრივი უმკაცრესი კარანტინი.

***— აუცილებელია ეს მკაცრი კარანტინი და კომენდანტის საათი?***

— აუცილებელია, რადგან ქართველები არ იცავენ ამ წესებს. გადაიხედეთ ეზოებში, ბავშვები ჩვეულებრივად თამაშობენ ფეხბურთს მოედნებზე, ხალხი ჩვეულებრივად დგას ე.წ. ბირჟაზე. მიდის სმა-ჭამა, ჭაჭის არყით ხელში სელფებს იღებენ, ამით ვამარცხებთ კორონავირუსსო და ამ ადამიანებს ეს ვაჟკაცობა ჰგონიათ.

***— ივანიშვილის როლი როგორია ამ პროცესებში?***

— რა თქმა უნდა, უმადური იქნები ადამიანი, რომ არ დაინახო ის, რაც „ქართუ ჯგუფმა“ გააკეთა ამ პერიოდში. როდესაც მთელი ეს დანახარჯები მან აიღო თავის თავზე და მომავალშიც ბიუჯეტის დეფიციტს „ქართუ“ შეავსებს. თუმცა საქართველო არ არის მარტო „ქართუ“. საქართველოს ჰყავს ბიძინა ივანიშვილზე არანაკლები ფულის მქონე მილიონერები.

დღეს ზოგიერთი გამოდის და მადლობას უხდის მამუკა ხაზარაძეს. მამუკა ხაზარაძემ, რომელსაც 1 მილიარდი დოლარის ქონება აქვს, ფონდში გადარიცხა 30 ათასი დოლარი, რაც ძალიან სამარცხვინოა.

ლევან ვასაძემ, რომელიც 300 მილიონ დოლარს ფლობს, გადარიცხა სამარცხვინოდ 13 ათასი დოლარი.

როგორც ძაღლს გადაუგდებენ ძვალს, ისე გვიგდებენ და თავიდან გვიცილებენ. ქართველი ხალხის თანხები მიითვისეს, მილიონერები გახდნენ და დღეს ასე სამარცხვინოდ იქცევიან.

***— ბანკების მიმართ არის საყვედური, ხელი მოითბეს ამ სიტუაციითო. ასევე ენერგოკომპანიები იქცევიან არაკეთილსინდისიერად.***

— თელასი და ყაზტრანსგაზი ბანდიტური კომპანიები არიან, რომლებიც კორონავირუსის დამთავრების შემდგომ უნდა გააძევონ საქართველოდან. ახლა დადიან და მოსახლეობას გაზსა და დენს უჭრიან. სახელმწიფოც არაფერს აკეთებს ამის საწინააღმდეგოდ. ის კომპანიები, რომლებიც დღეს დენსა და გაზს უჭრიან მოსახლეობას, არიან საბოტაჟის განმახორციელებლები და, საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, ისინი დააპატიმრონ. თუ ასეთი რადიკალური ზომები არ მივიღეთ, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

მძიმე სიტუაციაა და ხელისუფლებაც ვერ დგას სათანადო პოზიციებზე.

დღეს ამხელა ამბავია ატეხილი, ეკლესიაში მრევლი მივიდეს თუ არ მივიდეს, მე ხაზგასმით გეტყვით, რომ უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ აზერბაიჯანელი ხალხის მიმართ, არც ის არის სწორი, ეროვნების მიხედვით განცხადებებს რომ აკეთებენ. თუმცა მარნეულში ეს დაავადება ბაირამობის დღესასწაულზე გავრცელდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღდგომის სუფრაზე რომ მომხდარიყო დაინფიცირება, რა ამბავს ატეხდნენ ეს არასამთავრობოები. ჩვენს ხელისუფლებასაც ხომ სწორედ ამ სოროსული არასამთავრობოების ეშინია.

***— თავადვე ახსენეთ ეკლესია. საკმაოდ ფრთხილი თემაა და რთულია, რამე მოწოდება გააკეთო, მაგრამ რას იტყოდით თქვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— დარწმუნებული ვარ, ბარძიმიდან და ხატებიდან ვირუსი არ გადავა. არჩევანი მარტივია, არავინ არავის აძალებს, მოდი ეკლესიაში და ილოცეო. ვისაც აქვს იმის საშიშროება, რომ შესაძლოა დაინფიცირდეს, არავინ აძალებს, გინდა თუ არა, მოდი ტაძარში და ეზიარეო.

რამხელა აჟიოტაჟი ატყდა. ეს აჟიოტაჟი ხელოვნურად არის ატეხილი. ვინმეს სჯერა საერთოდ, რომ კორონავირუსი მართლა ღამურის შეჭმიდან გავრცელდა და მართლა ამიტომ მოედო მთელ მსოფლიოს?!

ეს არის ბიოლოგიური იარაღი და ღვთის სასჯელი. იმის მაგივრად, რომ ხალხს მოვუწოდოთ, მობრუნდნენ ღმერთისკენ, ეკლესიისკენ, დაიწყონ ლოცვა, ეს შეტევა ეკლესიაზე არ ჩერდება. ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ასე ებ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „აკეთებ ერთს, გამოგდის მეორე და საბოდიშოდ გიხდება საქმე“

## როგორ დაარიგეს ზუგდიდში ნაციონალებმა პირბადეები

გუშინ, 26 მარტს, ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისა“ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ აქციას, სადაც პირბადეებს, სადეზინფექციო ხსნარებსა და ხელთათმანებს არიგებდნენ, ინციდენტი მოჰყვა.

იმ პირობებში, როცა ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ მოუწოდებენ, ბულვარში სამედიცინო აღჭურვილობის მისაღებად ასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.

როგორც ადგილობრივი მედიასაშუალება „რადიო ათინათი“ იუწყება, მიუხედავად პოლიციელების ადგილზე ყოფნისა და მოწოდებისა, მოქალაქეებს დისტანცია დაეცვათ, ხალხი ერთად იყო შეჯგუფებული და ყველა ცდილობდა, ზემოაღნიშნული ნივთები მიეღო.

ინციდენტთან დაკავშირებით თავის მართლება მოუხდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ნიკა მელიას. მან ფეისბუქში დაწერა:

„ზუგდიდთან დაკავშირებით ხანდახან ხდება, აკეთებ ერთს, გამოგდის მეორე და საბოდიშოდ გიხდება საქმე. სწორედ ეს მოხდა ზუგდიდში. გვინდოდა, დამცავი პაკეტები (სადეზინფექციო ხსნარი, ხელთათმანები და პირბადეები) მიგვეწოდებინა ჩვენი მოქალაქეებისათვის, როგორც მივაწოდეთ სხვა რეგიონებში — რიგის, დისტანციის დაცვით.

ზუგდიდში კი იმდენი ხალხი მოვიდა, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. აღმოჩნდა იმიტომაც, რომ, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ზუგდიდში პოლიცია არ გვეხმარებოდა დისტანციის რეგულირებაში.

როგორც კი საფრთხე გაანალიზდა, დარიგება შეწყდა, მაგრამ ეს მაინც არ გვამართლებს. გათვლილი უნდა გვქონოდა ყველა დეტალი და პროცესის განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტი. ორგანიზატორები ნამდვილად არ ელოდნენ ამხელა ნაკადს.

ზუგდიდის ინციდენტმა აჩვენა, ერთი მხრივ, ორგანიზატორების მოუმზადებლობა და, მეორე მხრივ, ის, თუ როგორ ჰყავს ხელისუფლებას დატოვებული მოქალაქეები პირბადეებისა და სადეზინფექციო საშუალებების გარეშე, სახლში გამოხდილი არყით დეზინფექციისა და კაშნეებით დაცვის ამარა“.



ინციდენტს გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის შტაბიც: „პირბადეები, ხელთათმანები და სადეზინფექციო სითხე რიგდება უკვე 2 კვირაა მთელი საქართველოს მასშტაბით მიხეილ სააკაშვილის ბიბლიოთეკის ეგიდით ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების მიერ, რადგან მთავრობამ ვერ უზრუნველყო ამ დამცავი საშუალებების ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის.

ყველა დარიგების პროცესი იყო დაგეგმილი მთავრობის გაცემული რეკომენდაციების მიხედვით. რიგის რეგულირება და ადამიანთა შორის დისტანციის დაცვა უზრუნველყოფილი იყო პოლიციის მიერ.

დღეს ზუგდიდში მოვიდა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე პოლიციას წარმოედგინა და მოხალისეებს დარიგების შეჩერება მოუწიათ.

განმეორებით მივმართავთ ხელისუფლებას, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის და ვთხოვთ, რომ, ტყუილების გავრცელების ნაცვლად, ხელისუფლება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დაეხმაროს ხალხს.

### ქუთაისში დააკავეს მამაკაცი, რომელსაც საკუთარი და ოთახში დამწყვდეული ჰყავდა

გუშინ, 26 მარტს, ქუთაისში, ალმაშენებლის ქუჩაზე, სამაშველო ოპერაცია განხორციელდა.

მამაკაცი, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს, ბინაში ორი დღის განმავლობაში დასთან ერთად იყო ჩაკეტილი და მას ბინის დატოვების საშუალებას არ აძლევდა.

მომხდარის გამო ოჯახის წევრებმა სამართალდამცველები გამოიძახეს.

ადგილზე მობილიზებული იყო სპეცრაზმი. მეოთხე სართულზე ჩაკეტილი და-ძმა რამდენიმესაათიანი ოპერაციის შემდეგ გაათავისუფლეს.

პოლიციამ ქუთაისში ოჯახის წევრისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

უწყების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის სამმართველოს თანამშრომლებმა, იმერეთის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოსა და იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ზ.ჭ. ქუთაისში დააკავეს.

დაკავებულს ოჯახის წევრისთვის – დისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ედება ბრალად. დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, საკუთარ ბინაში, 4 დღის განმავლობაში უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ამავე ბინაში მცხოვრებ დას – 1980 წელს დაბადებულ შ.ჭ.-ს და სახლიდან გასვლის ნებას არ აძლევდა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული დანაშაულის ადგილზე, მისსავე საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

გამოძიება ოჯახის წევრისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

### ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში საკარანტინო ზონის კონტროლი გრძელდება




შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში საკარანტინო ზონის გაძლიერებულ კონტროლს აგრძელებს.

საკარანტინო შეზღუდვების ამოქმედებისთანავე ძირითად გზებზე საკონტროლო-გამშვები საგუშაგოებია განთავსებული, ხოლო მეორეხარისხოვანი გზები მობილური ჯგუფების მიერ კონტროლდება. პოლიციის თანამშრომლები საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად მუნიციპალიტეტების ქალაქებსა და სოფლებში ინტენსიურად პატრულირებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას რეგულარულად, დეტალურად უხსნიან საკარანტინო ზონაში მოქმედ წესებს.

გარდა ცოცხალი ძალისა, საკარანტინო პერიმეტრის მუდმივი მონიტორინგის პროცესში პოლიციის შესაბამისი დანაყოფების მიერ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დრონები გამოიყენება.

ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ამ დროისთვის ვითარება დამაკმაყოფილებელია და კონტროლს სრულად ექვემდებარება.

საკარანტინო შეზღუდვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინაციით, თავდაცვის ძალებთან ერთად, საგანგებო რეჟიმში აკონტროლებენ.

### სახელმწიფო ინსპექტორმა თეა წულუკიანის უწყება 1.000 ლარით დააჯარიმა

სახელმწიფო ინსპექტორმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ პარლამენტში სახალხო დამცველის თანამშრომლის ვიდეოს დაუფარავად ჩვენებისთვის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციარული სამსახურიც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო, რის გამოც ორივე უწყება 1.000 ლარით დაჯარიმდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატში განუცხადეს, სახელმწიფო ინსპექტორმა დაადგინა, რომ იუსტიციის სამინისტროს ეს ჩანაწერები პირის იდენტიფიცირების გარეშე, დაბლარულად უნდა ეჩვენებინა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განმარტებით, 2020 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მიერ ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება პერსონიფიცირებული ფორმით, მათზე აღბეჭდილი პირების სახის დაფარვის გარეშე, არ ემსახურებოდა სპეციალური პენიტენციარული სამსახურისა და სამინისტროს კანონიერ ინტერესებსა და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების მიზანს.

– შესაბამისად, სამინისტრომ პარლამენტის კომიტეტზე და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროების გზით, ხოლო სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე გასაჯაროების, ასევე, სამაუწყებლო კომპანიებისა და საინფორმაციო სააგენტოებისთვის გადაცემის გზით, ვიდეოჩანაწერებზე ასახულ პირთა პერსონალური მონაცემები დაამუშავეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევით.

შესაბამისად, მათ დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ასევე, დაევალათ სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდებსა და ოფიციალურ ვებგვერდზე პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების წაშლა, – განაცხადეს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „მთავრობას ვურჩევ, შიშის დრო არ არის. სოციალური ფონი ძალიან დამძიმდება“

იაგო ნაცვლიშვილი

დღეს ყველა იმისკენ ვართ ორიენტირებულები, რომ მაქსიმალურად მოხდეს კორონავირუსის პრევენცია, მაგრამ ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია, რა გველის პოსტკრიზისულ სიტუაციაში. მთავრობა გეგმის წარმოდგენას არ ჩქარობს და მისგან არც არავითარი ხედვა არ მოგვისმენია.

რა გველოდება კრიზისის შემდეგ, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და რატომ გვიანდება ეს ნაბიჯები? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი **ლევან ალაფიშვილი** პასუხობს.

***– კარგად გვესმის, რომ მძიმე ფონია, მაგრამ ჩნდება კითხვა, რა გველის ამ ყველაფრის შემდეგ? რამდენად თანმიმდევრულია ხელისუფლება და თუ დაინახეთ მისგან მუშაობა იმაზე, რომ მზად დახვდეს შემდგომ პროცესებს?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, როდესაც ავადმყოფი დაავადების გამწვავების სტადიაშია და მიაკითხავს საავადმყოფოს, ექიმების ამოცანაა ავადმყოფის დასტაბილურება და შემდგომ იწყება ზრუნვა მის გამოჯანმრთელებასა და რეაბილიტაციაზე. ჩვენ შეიძლება ამ მდგომარეობაში ვართ, თუმცა, განსხვავებით ავადმყოფობისგან, საზოგადოების ავადობა ცოტა უფრო სხვანაირია. ეს არის კომპლექსური და, შესაბამისად, ბუნებრივია, ჯერჯერობით ინტენსიურად არ ისმის, მაგრამ, მერწმუნეთ, ხვალ საზოგადოებისგან წუხილს უფრო ხმამაღლა გავიგებთ ზუსტად თქვენ მიერ დასმული კითხვის მიმართულებით – რა გველის ხვალ.

მესმის იმ ექიმის, რომელიც მიმდინარე გამოწვევებსა და თანმდევ რისკებს გეგმავს, მასზე რეაგირებს, მაგრამ, უნდა დავინახოთ, რომ მთავრობა სხვა რაღაცაზეც ზრუნავს, რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს. უნდა დავინახოთ კონკრეტული ქმედებები და გადაწყვეტილებები, რითაც ეს უნდა იყოს გამყარებული. კარგია მობილიზების გაკეთება ვირუსთან გამკლავების თვალსაზრისით, მაგრამ, ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება იმავე ბიზნეს თუ სხვა დაინტერესებულ საზოგადოებასთან დიალოგის დაწყება იმაზე, რომ დავგეგმოთ ხვალინდელი დღე, ჩვენი სახელმწიფოს ერთიანი გეგმა, როგორ წარმოგვიდგენია მისი განვითარება – მთავრობას – თავის ადგილზე, ბიზნესს – თავის ადგილზე და ჩვენს მოქალაქეებს – ჩვენს ადგილზე.

კარგია, როდესაც მინისტრი მოგვიწოდებს, კრეატიული იდეები მოგვაწოდეთ ვირუსთან თუ მიმდინარე მოვლენებთან გასამკლავებლადო, მაგრამ, ასევე კარგი იქნება, თუკი მინისტრი დაჯდება კონკრეტულ აკადემიურ თუ ბიზნესწრეებთან და შესთავაზებს ხედვას, როგორ წარმოუდგენია ხვალინდელი დღე. დღესაც კი არის გადაწყვეტილებები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გაჯანსაღების მატარებელია.

მაგალითად, არაერთი საგადასახადო დავაა ე.წ. საურავები. ამისგან გათავისუფლება და ამ რესურსის ბიზნესში ჩატოვება დღესვე ხომ გამოათავისუფლებს ახალ რესურსს, ამას ხომ ბიზნესი მოახმარს საკუთარ განვითარებას!

***– ეს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს?***

– როგორც მინიმუმ, ეს მოხმარდება იმას, რომ არ დაიკარგოს სამუშაო ადგილები ან შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

ამას გარდა, დღეს არაერთი ადმინისტრაციული დავაა სასამართლოში, რომლებიც მიმდინარეობს სახელმწიფოსთან, იქნება ეს სამინისტროები თუ მის ქვეშ არსებული სსიპ-ები, მუნიციპალიტეტები თუ სხვა. ბიზნესსა და მათ შორის არის დავები.

***– უნდა გაჩერდეს ეს დავები?***

– ბიზნესი ითხოვს, რომ ეს რესურსი დაუტოვონ ბიზნესს. ახლა ხომ არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა და ეს ხომ ყველა ჩვენგანის გამოწვევაა! თუკი კონკრეტული ბიზნესი ითხოვს კონკრეტული საქმიანობის გაგრძელებას, ბუნებრივია, მას რესურსი არ აქვს?! ახლა ხომ რესურსი გაჩერებულია. მერწმუნეთ, რომ ახლა მორიგება ორივე მხარის ინტერესებშია. ეს ხომ არ დააზარალებს პოლიტიკას.

***– პრემიერი ხაზს უსვამს, ვირუსის შემდეგ რა გველის, ესეც ძალიან მნიშვნელოვანიაო. აქამდე ხედვა არ უნდა წარმოედგინათ და თუ დაინახეთ რამე ხედვა?***



– ზუსტად მაგას ვამბობ. გვეუბნებიან, კრეატიული იდეებიო და ფული შევაგროვოთო. ორივე კარგია, მაგრამ ზუსტად ეგ არ ჩანს და მაგას ვთხოვ თუ ვურჩევ ხელისუფლებას. მერწმუნეთ, დროა, ამაზეც ვიფიქროთ. რა რესურსი გვაქვს და რით შეგვიძლია რესურსის შემსუბუქება, მით უმეტეს გრძელვადიან პერსპექტივაში ამას უფრო მეტი შედეგი რომ ჰქონდეს. რაც წელან ვთქვი, ეგ ხომ გაჩერებული რესურსია. წლებია, ეს დავები გრძელდება და ამგვარად კარგად აწონილ გადაწყვეტილებას არაერთი ეფექტი შეიძლება მოჰყვეს.

***– ბევრი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე, ზოგი საერთოდ თვითდასაქმებული იყო და ამ მიმართულებითაც ვერ ვხედავთ ნაბიჯებს, რომ რაღაცა სუბსიდირება გაკეთდეს ამ ადამიანების დასახმარებლად. შესაძლოა, ბიუჯეტშიც გახდეს საჭირო კორექტირების შეტანა ან სარეზერვო ფონდების გამოთავისუფლება. ამაზე რას იტყვით?***

– დასაქმებასთან მიმართებით ჯერ კიდევ არ არის ეს პროცესი დასრულებული იმიტომ, რომ ეკონომიკური შედეგები სტატიკურ ეტაპამდე არ არის მისული. ეს პროცესი გრძელდება და, შესაძლოა, უფრო დამძიმდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პირველ რიგში – დასაქმების თვალსაზრისით. დასაქმებაში მხოლოდ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას არ ვგულისხმობ, რადგან, შეიძლება, დასაქმებული იყოს, მაგრამ ადამიანს შეუმცირდეს შემოსავალი ან უშუალოდ დამსაქმებლის მიერ, ან სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

ამგვარი რესურსების მოძიება რომ ჰქონდეს მთავრობას, ამასაც ვერ ვხედავ. ეს არის დასანანი. ისევე, როგორც კორონავირუსთან ბრძოლაში გადამწყვეტია დრო, მერწმუნეთ, ამ მოცემულობაშიც გადამწყვეტია დრო, იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ ეს შანსი, შეიძლება, უბრალოდ, არაეფექტური აღმოჩნდეს, იმდენად დამძიმდეს სოციალური ფონი.

***– რაც შემდეგ სხვა პროცესებზეც მოახდენს პირდაპირ გავლენას, მაგალითად, მოჰყვება თუ არა ამას კრიმინალის ზრდა?***

– რა თქმა უნდა, უფრო ძვირი დაგვიჯდება. დღეს თუ არის რესურსი, სჯობს, დღესვე თავი დავანებოთ ბუკვალურ რაღაცებს.

***– რატომ აგვიანებს სახელმწიფო?***

– მესმის მთავრობის. შესავალში იმიტომ აღვნიშნე, რომ ისინი არიან ქირურგის პოზიციაში. შესაძლოა, მათი ძირითადი რესურსი იმ ოპერაციის წარმატებით დასრულებაზეა კონცენტრირებული, მაგრამ პოსტოპერაციულ პერიოდზე ზრუნვა ასევე მნიშვნელოვანია.

***– „ოცნებას“ ბევრი შეცდომა ჰქონდა, ბოლო წელს – განსაკუთრებით და ხომ არ ეშინია, რომ ახლაც არ დაუშვას შეცდომები და ამიტომ ხომ არ უჭირს ნაბიჯების გადადგმა?***

– რა თქმა უნდა, ესეც არის. უმთავრესი, რაც შემიძლია, მთავრობას ვურჩიო, არის ის, რომ ახლა შიშის დრო, უბრალოდ, არ არის. შიში დასასრულს ნიშნავს. იმის გამო, რომ რაღაც გადაწყვეტილება არ მიიღო, ეს დააჩქარებს მოვლენების უარყოფით განვითარებას. სწორედ ამიტომ არის საჭირო თეზისებისა და რაღაც ფორმატების შექმნა, სადაც საწყის ეტაპზე თუნდაც მხოლოდ ეკონომიკასა და განვითარებაზე დაიწყოს ზრუნვა პოსტკრიზისულ სიტუაციაში.

# „ნაკლებად საშიში პატიმრები ციხეებიდან უნდა გამოუშვან“

## შალვა ხაჭაპურიძე: „გააფორმონ საპროცესოები და ბიუჯეტშიც ფული შევა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.



***– ბატონო შალვა, რა ხდება სასამართლო სისტემაში და პენიტენციარულ დაწესებულებაში? რა შეიცვალა თქვენს სამუშაო პროცესში?***

– სასამართლოში პროცესები სამოქალაქო საქმეებზე გადაიდო და ეს სწორიც არის. ასევე გადაიდო სისხლის სამართლის სააპელაციოებიც, სადაც კატასტროფული მდგომარეობა არ არის. ერთადერთი პრობლემაა აღკვეთის ღონისძიება და იქ, სადაც დროებითია მისჯილები და ვადები იწურება. ბევრი გადაიდო აპრილის შუა რიცხვებისკენ და აპრილის ბოლოსკენ, ნაწილი კი ტარდება დისტანციურად.

უკვე ამუშავდა დისტანციური სისტემა. მე თუ მკითხავთ, ეს აქამდეც უნდა ამუშავებულიყო, რადგან ძალიან დიდი რესურსი იხარჯებოდა. დისტანციური სისტემა დიდ დანაზოგს აკეთებს.

***– ბატონო შალვა, ითქვა, პროკურორები ადვოკატებს საპროცესოს სთავაზობენ, სადაც ეს შესაძლებელია და მსგავსმა შეთავაზებებმა იმატაო. ასეა?***

– ითქვა ასეთი რამ, თუმცა ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი შემოთავაზება არ ყოფილა. ახლა მუშა პროცესი მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ასეც მოხდება. გაეროს გააკეთა განცხადება, სადაც არის ამის შესაძლებლობა, პატიმრები გაათავისუფლეთო.

***– დასავლეთი აქტიურად მოუწოდებს ქვეყნებს პატიმრების გამოშვებისკენ. რა იქნება ჩვენთან? ცხადია, მძიმე დანაშაულს ეს არ შეეხება.***

– რა თქმა უნდა. დღეს ჩვენთან გამოშვების ორი პროცესუალური სისტემაა – ან საპროცესო შეთანხმება, ან გამამართლებელი განაჩენი. საპროცესო შეთანხმება ვრცელდება და ეხება ნებისმიერ მუხლს, თუ იქნება ეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ბოლო 17 წელიწადია, მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა ხორციელდება, კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება კეთილ ნებას გამოიჩენს და უფრო მსუბუქ სისხლის სამართლის პოლიტიკას გაატარებს.

***– კერძოდ რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, მაქვს ერთი კონკრეტული ქეისი, 20 ათასი ლარის მითვისებაზეა საუბარი. ეს ადამიანი ამბობს, რომ ამ ზიანს აანაზღაურებს, თანაც ის არის ასაკოვანი და დაავადებული. ასეთ და მსგავს დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს.

***– ხომ შეიძლება, ამ ყველაფერმა შეწყალების ფორმა მიიღოს და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე პირები გამოუშვან, თუნდაც როგორც 2012 წელს მოხდა? მაშინ ბევრი პატიმარი გამოვიდა ე.წ. ბესელიას სიით.***

– დიახ, გეთანხმებით. ასევე აუცილებლად უნდა ამუშავდეს უდოების სისტემა. ეს თემა თეა წულუკიანს ეხება. უნდა ამუშავდეს ე.წ. სამაჯურების თემა, რომელსაც შინაპატიმრობა ჰქვია. თუ პატიმარი ხასიათდება დადებითად და არ აქვს მძიმე დანაშაული, რატომაც არა.

გარდა ამისა, უნდა გამოვიდეს ამნისტია, რომელმაც, მინიმუმ, 1/4 მაინც უნდა მოაკლოს სასჯელებს. ციხეებში მრავლად არის წინა ხელისუფლების დროს დაპატიმრებული ხალხი, რომელთა საქმეების გადახედვაც არ მოხდა. ღმერთმა ნუ ქნას და, ციხეში კორონავირუსის ერთი შემთხვევაც რომ დაფიქსირდეს, საშინელება მოხდება.

***– ციხეში მარტივად გავრცელდება?***

– რა თქმა უნდა. საკანში 7-8 პატიმარია და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება. პატიმრებთან ციხის თანამშრომლებს აქვთ ურთიერთობა, პროკურორებს, გამომძიებლებს, ადვოკატებს.

***– ანუ იმის თქმა გინდათ, რომ დაცულები არ არიან?***

– ციხეში ამას ვერ დაიცავ. ეს წარმოუდგენელია. ზოგი ამბობს, ჩაკეტილები არიან და დაცულები არიანო. ჩაკეტილი რომ არის, სრულიად მარტო კი არ ზის, ვიღაცამ კარი უნდა გაუღოს, საჭმელი მიაწოდოს, გაასეირნოს და ასე შემდეგ. სამი-ოთხი შემთხვევაც რომ დაფიქსირდეს, საკმარისია, მთელი სისტემა იქნება დაინფიცირებული.

ამიტომ, სადაც შესაძლებლობაა, მაქსიმალურად უნდა მოხდეს გამოშვება. ამნისტია რისთვის გვინდა აბა, მაინცდამაინც არჩევნების დროს უნდა ტარდებოდეს?!

70 მილიონი ლარია მარტო პატიმრების კვებისთვის გამოყოფილი, წარმოიდგინეთ, რამხელა დანაზოგი გაკეთდება ბიუჯეტში. თუ საპროცესოებსაც გააფორმებენ, ეს ხალხიც ხომ შეიტანს ბიუჯეტში თანხებს. მინიმუმ, 200 მილიონს დაზოგავს სახელმწიფო. ამ შავ დღეში ჩავარდნილი ბიუჯეტისთვის ეს სერიოზული ფულია და ეს ფული შეიძლება წარიმართოს ავადმყოფების მკურნალობისა და სწრაფი ტესტირებისთვის. თვითიზოლაციაში მყოფ ადამიანებსაც უნდა ჩაუტარდეთ სწრაფი ტესტირება.

***– არის ამის საშუალება? ფიქრობთ, რომ აუცილებელია იზოლაციაში მყოფი პირების ტესტირება?***

– მიმაჩნია, რომ აუცილებელია. ეს ადამიანები იზოლაციაში არიან ორი კვირა. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთა ორგანიზმშიც ეს ვირუსი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ არის საჭირო მათი ტესტირება. ისინი თუ ვირუსის მატარებლები არიან, იზოლაციიდან ოჯახებში რომ დაბრუნდებიან, ოჯახის რამდენ წევრს დაააავადებენ?! ამაზე რატომ არაფერს ამბობს სახელმწიფო, რატომ არ ისმის ეს კითხვები?!

***– შეწყალების თემას რომ დავუბრუნდეთ, დაიწყება ამაზე საუბარი, კონსულტაციები?***

– აუცილებლად უნდა დაიწყოს. რაღაც გზა უნდა გამოვნახოთ, მით უმეტეს, მსოფლიო მოგვიწოდებს აქეთკენ. გაეროს განცხადება არ არის ასე უბრალოდ ნათქვამი.

***– ირანმა ძალიან ბევრი პატიმარი გამოუშვა...***

– ირანში, ვიცით, რა კანონებიც არის, რაც ხდება ამ კუთხით და, სანამ გაერო მოუწოდებდა, მანამდე გამოუშვა 85 ათასი პატიმარი. თუკი არის შესაძლებლობა და საზოგადოებისთვის საშიში არ არის, რა თქმა უნდა, უნდა გამოუშვან.

მე ველოდები, რომ ძალიან მალე სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით რაღაც ინიციატივა გაჟღერდება.

# სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ მილიონერები უნდა დაბერტყოს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რძვიან ეკლესიას, აღარ სჭირდებათ ფოფინი და მოფრთხილება. რა სეკულარულ სახელმწიფოზე მესაუბრებით, ხალხო! საზღვრები ჩაიკეტა და კარგა ხანს იქნება ჩაკეტილი, გლობალიზაცია მოკვდა, დამთავრდა! ამდენი სატანა რომ მეფობს დედამიწაზე, სწორედ ამიტომ ვართ ამ დღეში.

უწმინდესისა და უნეტარესის განცხადებებზე ლაზღანდარობა დაიწყეს და მასხრად აიგდეს. ყველა ამაზე ღლიცინებდა, როდესაც განაცხადა, მეორედ მოსვლა ახლოვდებაო. აი, ნახეთ, რა დღეში ჩავცვივდით?! ეს შემთხვევითობაა? უწმინდესს ჰქონდა ხილვა და გაგვაფრთხილა, მაგრამ დავცინეთ. ჰოდა, აი, სასჯელიც!

***– თქვენ კომენდანტის საათსა და მკაცრ კარანტინზე საუბრობთ. რა ქნას მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც ყოველდღიურ შემოსავალზე იყო და რომელსაც არაფერი აბადია?***

– ამიტომ უნდა გადადგას ხელისუფლებამ უფრო გაბედული ნაბიჯები. ყველაფერი ჩვენ ვუკარნახოთ?! რად უნდათ საგანელიძის საპარტნიორო ფონდი, რომელსაც ზარალის მეტი არაფერი მოუტანია?! გამოათავისუფლონ ის ნახევარი მილიარდი ლარი და დაურიგონ ასეთ გაჭირვებულებს, მათ, ვინც სამსახური დაკარგა.

ვინც ყოველდღე იბრძოდა ლუკმაპურის საშოვნელად, ამ ადამიანებს სახლში რომ დავსვამთ, შიმშილით სიკვდილისთვის გავწირავთ. რა მნიშვნელობა აქვთ მათთვის, შიმშილი მოკლავს თუ კორონა?! კორონასგან განიკურნები მაინც და შიმშილს გადარჩენილი ადამიანი არ არსებობს.

ამიტომ, დროა, ხელისუფლებამ საგანელიძისნაირი ადამიანები დაფერთხოს. გააუქმონ ასეთი პარაზიტული ფონდები და ამ გაქსუებულ ბიზნესმენებსაც, რომლებიც ხალხის ხარჯზე გამდიდრდნენ, გაცილებით მეტი გადაარიცხვინონ ფონდში.

დაბერტყეთ ეს მილიონერები. რატომ არ ბერტყავთ?! მილიარდი დოლარი რომ გაქვს და სასაცილო თანხას რიცხავ ფონდში, უბრალოდ, სირცხვილია!

# ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლებამ ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მოქმედებები უნდა გააკონტროლოს“

## „კარგი იქნება, თუ აღდგება საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტექნიკის მაღაზიების მუშაობა“

მარიამ მჭედლიშვილი



ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს **ბიძინა გუჯაბიძეს.**

***– საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებას ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო აკრიტიკებს, სხვა ნაწილი კი მოთხოვნების გამკაცრებას მოითხოვს. თქვენ რას იტყვით?***

– მე ცოტა სხვა მოსაზრება მაქვს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო. დადგენილი ზომების შეცვლა კი ყოველდღიურად შეიძლება. ეს დამოკიდებულია შექმნილ ვითარებაზე. ეს შეიძლება იყოს ზომების გამკაცრებაც და შესუსტებაც. ჩემი აზრით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები გასამკაცრებელია, ხოლო სავაჭრო ობიექტების კუთხით საჭიროა მიდგომის შერბილება.

***– რას გულისხმობთ? სასურსათოს გარდა, პრაქტიკულად რომ ყველაფერი დახურულია?***

– დიახ. ადამიანებს ექმნებათ პრობლემები. ზოგს ონკანი გაუფუჭდა, ზოგს ფეხსაცმელი დაეხა და ა. შ. კარგი იქნება, თუ აღდგება საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტექნიკის მაღაზიების, ასევე, ღია ბაზრობების მუშაობა. ეს უნდა მოხდეს დადგენილი წესების დაცვით. დიდი შეკრებები არ მოხდება.

***– ხალხის უკმაყოფილებას იწვევს გადმორიცხვებზე დადებული ბეგარა. მაგალითად, იტალიიდან ჩვენი მოქალაქეების ნაწილი აგრძელებს ფულის გამოგზავნას. ადრინდელი სისტემა გაჩერებულია. ახლანდელ პირობებში საქართველოს ბანკები ფულადი გაზვნილიდან 10-დან 15 პროცენტამდე იტოვებენ. ამას რა ეშველება?***

– საჭიროა მთავრობის რეგულაცია. საერთოდ, სახელმწიფო ნაკლებად უნდა ერეოდეს კერძო კომპანიების საქმიანობაში, ფინანსებში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს რეაგირება გამართლებულია. ავიაკომპანიებსაც მოუწოდა მთავრობამ, რომ ბილეთების ფასი ძალიან არ გაეზარდა. როცა ხდება ყაჩაღობა, ხელისუფლება ამაში უნდა ჩაერიოს და თუ აუცილებელია, საკანონმდებლო ცვლილებებიც მიიღოს.

***– ხელისუფლება ეკონომიკის აღდგენის გეგმაზეც მუშაობს.***

– წინ დიდი სირთულეები გველის. ეკონომიკის ზრდაზე ლაპარაკი, რაც კორონავირუსის შემოტევამდე იყო დაგეგმილი, უკვე შეუძლებელია. ხელისუფლებამ პოსკორონარული, პოსტკრიზისული გეგმა უნდა შეიმუშაოს. კრიზისი გარდაუვალია. ამიტომ, ხელისუფლებას მოუწევს ცვლილებები. მაგალითად, საგადასახადო კუთხით. ამაზე გადაწყვეტილება მთავრობის ათმა წევრმა არ უნდა მიიღოს. ამ ჯგუფმა უნდა მოიწვიოს მეცნიერები, ნამდვილი სპეციალისტები და არა ისინი, ვინც ექსპერტობას იბრალებს. შესასწავლია ყველა ღირებული და საინტერესო ინიციატივა.

***– ლარის არნახული გაუფასურების პასუხად გვეუბნებიან, რომ ესაა ლარის რეაქცია გლობალურ გამოწვევებზე, რომ საქართველოს სუსტი ეკონომიკა აქვს. საზოგადოებას მაინც ვერ გაუგია, რატომ არ უფასურდება ამ მასშტაბით სხვა, თუნდაც, სუსტი ქვეყნების ეროვნული ფული და რატომაა ამ დღეში ლარი?***

– ჩემი შეფასებით, ეს არის ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მოქმედებების შედეგი. ხელისუფლებამ მათი მოქმდებები უნდა გააკონტროლოს. ეს სუბიექტები შეისყიდიან ბაზარზე არსებულ უცხოურ ვალუტას და ბაზარი, პრაქტიკულად, დოლარის გარეშე რჩება. ფულის მასა არ მოძრაობს. ფულიც საქონელია და რაც ნაკლები იქნება ბაზარზე, მით მეტი ფასი ედება. ხელისუფლებამ დაადგინოს, ვინ როგორ იქცევა და რომელ კანონს არღვევს. თორემ, თუ ასე გაგრძელდა, ერთი დოლარი ოთხი ლარი ეღირება. არა მგონია, ეს ქვეყნისთვის მომგებიანი იყოს. ისმის განცხადებები, თითქოს ეს კარგია ინვესტორებისათვის. ეს სადავოა. თანაც, ინვესტიციებიც შემცირდა. ხელისუფლებამ აქაც მაღალი დონის სპეციალისტები უნდა დაიხმაროს და მათი დახმარებით გადაწყვიტოს სავალუტო რეზერვების ბედი.

***– თქვენი დაკვირვებით, პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა თუ პოლიტიკოსები ეპიდემიოლოგიურ და აქედან გამომდინარე პრობლემებზე გადაერთვნენ?***

– დავიწყოთ ხელისუფლებით. ხელისუფლება მოქმედებს კონსტიტუციის ფარგლებში და ბევრს აკეთებს ეპიდემიის შესაჩერებლად. ოპოზიცია, ერთი შეხედვით, ამ პირობებს აეწყო და შეეგუა, თითქოს, კრიტიკასა და აქტიურობას უკლო. ზოგიერთი პოლიტიკოსი ასე იქცევა, მაგრამ მათ შორის არ არის ნაციონალური მოძრაობა თავისი სატელიტებით.

***– ისინი ძველებურად იქცევიან?***

– ნაციონალური მოძრაობის გამოსწორება შეუძლებელია. ამ ვაიპოლიტიკოსებს, სააკაშვილით დაწყებული, ნაცმოძრაობის აქაური წევრებით დამთავრებული, სხვა გზა არ დარჩენიათ. მათ უნდა იხმაურონ, რაც არ უნდა მოხდეს ქვეყანაში.

***– რატომ არ დარჩენიათ სხვა გზა?***

– იმიტომ, რომ ასე ინარჩუნებენ მთავარი ოპოზიციის, ხელისუფლების ერთადერთი ოპონენტის სახელს. წინა რეჟიმის წარმომადგენლებს ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. რომ გაჩუმდნენ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ისინი ყველას დაავიწყდებიან. ამიტომ ტეხენ ალიაქოთს ყველაფერზე. სხვანაირად, ეს ხალხი მთავარი ოპონენტის როლს დაკარგავს და უცხოელი პარტნიორები მათ დასაცავად ხმას აღარ ამოიღებენ. ნაციონალების გადმოსახედიდან გამომდინარე, ეს ხმაური ლოგიკურია. სააკაშვილს რა გააჩერებს?! ამ კაცს ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი და იმის მაგივრად, რომ კანონიერ სასჯელს იხდიდეს, გაუთავებლად ხმაურობს და თავის პარტიასაც აგულისებს. ამ ვითომ ოპოზიციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა მდგომარეობაშია ქვეყანა, ხალხი. მთავარია, შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციის იმიჯი და ჰყავდეს საგარეო მფარველები, რომლებიც საქართველოში პოლიტიკურ დევნაზე ილაპარაკებენ.

# „ზუგდიდში ვინც ხალხი შეკრიბა, პასუხს აგებს“

## გიგა ბუკია: „ზოგს სააკაშვილი მეფე ჰგონია“

გულიკო ბალაძე

გუშინ ზუგდიდის ცენტრში, ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო ვითარების პირობებში, ნაცმოძრაობამ 200 კაცი შეკრიბა და მათ პირბადეები დაურიგა. ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ დაირღვა საგანგებო მდგომარეობის პირობები. დაავადების კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძის თქმით, ახლა პიარის დრო არ არის. ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა კი ხალხს აუწყეს, რომ ასეთ შეკრებებს კიდევ გამართავენ.

ამ თემაზე „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის წევრი **გიგა ბუკია** პასუხობს.

***– ბატონო გიგა, ინფორმაცია გავრცელდა, რომ სააკაშვილმა და სანდრა რულოვსმა ზუგდიდელებს პირბადეები გაუგზავნეს. შესაბამისად, ნაცმოძრაობამ ზუგდიდის ცენტრში 200 კაცი შეკრიბა და მათ პირბადეები დაურიგა. ეს რას ნიშნავს მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო სახლებშია შეყუჟული, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია პანდემიას აცხადებს, მოწოდებებია, დავრჩეთ სახლში და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.***

– კარგად ვიცით, რომ ნაცმოძრაობას ნაკლებად ადარდებს, პანდემია იქნება თუ პრობლემა. ოღონდ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და... მათ საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობა დატოვეს ცხელ წერტილში. ყველას კარგად გვახსოვს, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, ხოლო ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში გახლდათ, მოსახლეობაზე როგორ ზრუნავდნენ.

არა მგონია, ოპოზიციაში ყოფნის დროს მათ ქმედებებში რამე შეცვლილიყო. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობენ, საკუთარი პოლიტიკური ქულების ჩასაწერად რაღაც გააკეთონ. მათ ქმედებებს ერთადერთი მიზანი აქვს – როგორმე მოახერხონ ხელისუფლებაში დაბრუნება.

მათ ჰგონიათ, თუ ახლა მოსახლეობას შეკრებენ ზუგდიდში და პირბადეებს ჩამოურიგებენ, ეს ხელს შეუწყობს მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას, რაც აბსურდია, მით უმეტეს არსებულ ვითარებაში, როდესაც ერი თუ ბერი მოსახლეობას მოუწოდებენ, დარჩნენ სახლში და, თუ ქუჩაში გამოვლენ, დისტანცია დაიცვან, რათა ურთიერთმოფრთხილებით ნულამდე დავიყვანოთ ვირსუსის გავრცელება. ამ დროს ასეთი ტიპის გაუაზრებელი მოქმედებებისაგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს.

***– ერთია სააკაშვილის ქმედებები, მეორე – ხალხის რეაქცია, რაც გამიკვირდა. რომელი პარტიის წევრიც არ უნდა იყო, ასეთ დროს შეკრებაზე წასვლა მიზანშეწონილი არ არის. სააკაშვილმა რომ მოუწოდოს, ხრამში გადაცვივდითო, უნდა გადაცვივდნენ?!***



– ნაცმოძრაობას შერჩა ფანატიკოსი ადამიანები, რომლებიც არად დაგიდევენ სხვის ჯანმრთელობას და არც სხვის მდგომარეობას. მათ მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ, რაც არაერთხელ დადასტურდა. რა ვქნათ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი არის მეფე. მათთვის მხოლოდ სააკაშვილია მხსნელი. ეს მათი პრობლემაა და არა – ჩვენი.

მთავარია, მათი პრობლემა არ გადაიქცეს ხალხის პრობლემად და ასეთმა გაუაზრებელმა ქმედებებმა ვირუსის გავრცელებას ხელი არ შეუწყოს.

***– ასეთი გაუაზრებელი ქმედებების გამო, შეიძლება, კორონავირუსმა ზუგდიდში იფეთქოს და კარანტინიც გახდეს გამოსაცხადებელი.***

– მსგავსი შეკრებები არ არის მიზანშეწონილი. დავრჩეთ სახლში. იმ ადამიანებმა, რომლებიც ასეთ აქციას დაგეგმავენ, ცოტა მეტად უნდა იაზროვნონ.

***– პოლიცია ისედაც დაძაბულია და ბევრი საქმე გაუჩნდა ახლა კორონავირუსთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში. პოლიცია მოუწოდებდა შეკრებილ ხალხს, დისტანცია დაეცვათ. ახლა პოლიციას იმისთვის სცალია, მასობრივი შეკრებები არეგულიროს? კანონით მასობრივი შეკრებები დაშვებულია?***

– საგანგებო მდგომარეობის დროს შეკრებები აკრძალულია. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება შეზღუდულია, მაგრამ მიშასთვის არაფერი წმინდა არ არსებობს, არც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და არც არაფერი. მას მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ცდილობს, რაც შეიძლება გართულებული მდგომარეობა იყოს, რომ რამე შანსი გაუჩნდეს საქართველოს ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად. ეს არის და ეს.

***– ხომ შეეძლოთ, ელემენტარულად, მობილური ჯგუფი შეექმნათ და, თუ რამე ჰქონდათ დასარიგებელი, სახლებში ჩამოერიგებინათ. ხელს ვინმე უშლიდა?***

– შეიძლებოდა, მოხალისეებს დაერიგებინათ, მაგრამ ჩვენ ხომ შეჩვეული ვართ, სააკაშვილი (ხელისუფლებაში იყო თუ ოპოზიციაში) რასაც აკეთებდა, მხოლოდ და მხოლოდ პიარისთვის აკეთებდა.

ჩათვალეს, რომ ახლა არის დრო, მცირე რაოდენობით, ვითომ ჰუმანური ქმედებით, დიდი აჟიოტაჟი გამოეწვიათ მაშინ, როდესაც მათი ჰუმანური ქმედება ზღვაში წვეთია იმ ქმედებებთან შედარებით, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება.

რას ვიზამთ, ასეთი მოცემულობა და დამოკიდებულებაა სააკაშვილის მხრიდან.

***– ასეთ სიტუაციაში რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, როდესაც მოქალაქეები საგანგებო მდგომარეობის პირობებში განსაზღვრულ წესებს არ ემორჩილებიან?***

– პირველ რიგში, თვითონ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შეგნება, რომ რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაციის მოწოდებაზე არ შეიკრიბონ, არ აჰყვნენ მათ. თვითონ მოსახლეობაზეც არის პასუხისმგებლობა, იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ასეთ ღონისძიებას გეგმავენ.

ვინც დაგეგმა და ჩაატარა ისეთი ღონისძიება, რომელმაც დაარღვია საგანგებო მდგომარეობის წესები, იმ ადამიანების მიმართ შესაბამისი სანქციაა, ადმინისტრაციული ჯარიმიდან დაწყებული.

დეტალები არ ვიცი, რა როგორ იყო, მაგრამ იმას, ვინც ამ ღონისძიებას ორგანიზება გაუწია, იურიდიული პირია თუ ფიზიკური, შესაბამისი სახდელის მოხდა მოუწევს.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ლარს ხელოვნურად ხომ არ აუფასურებენ?!“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, პანდემიის დასრულების შემდეგ ეკონომიკური კრიზისი ალბათ გარდაუვალი იქნება. შემოდგომაზე საქართველოში არჩევნებია. რამდენად რთული წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება მოუწევს ხელისუფლებას?***

– პანდემიის დასრულების შემდეგ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი ნამდვილად გარდაუვალი იქნება. ეკონომიკის ვარდნა ამჯერად, როგორც სპეციალისტები ამბობენ, გაცილებით რთული იქნება, ვიდრე იყო 2008 წელს.

სანამ პანდემია დასრულებულა, ხელისუფლებას ვურჩევ, პარალელურ რეჟიმში შეიმუშაონ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამა სწორედ სპეციალისტებთან ერთად. ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რათა მერე უკვე ძალიან გვიან არ იყოს.

არჩევნები ნაკლებად მადარდებს. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ვირუსის დამარცხება და ეკონომიკური კოლაფსიდან თავის როგორმე დაღწევა. ხომ ხედავთ, როგორ გარბის ლარის კურსი. თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა, კუპონიზაცია გარდაუვალი იქნება. კუპონიზაციას კი რა თანმდევი პროცესები მოჰყვა, ამის გახსენებაც კი არ მინდა. მაშინ მხოლოდ ჩვენ ვიყავით ასეთ მძიმე ვითარებაში, ახლა მთელი მსოფლიო ამ მდგომარეობაშია და ვის

## „ხელისუფლებამ ამას დროზე უნდა მიხედოს“

გინდა, რომ დახმარება სთხოვო?! ამიტომ არის ერთიორად დამაფიქრებელი ეს ყველაფერი.

***– რას ურჩევთ ხელისუფლებას, რა ნაბიჯები უნდა გადადგას?***

– მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ არ ცხადდება კარანტინი, სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ეს გადაწყვეტილება მყისიერად მიწასთან გაასწორებდა ეკონომიკას. ალბათ ერთ-ორ კვირაში მცირე და საშუალო ბიზნესს მოქმედების შესაძლებლობა უნდა მიეცეს. გაზაფხულია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დასამუშავებელია. თუ ახლავე არ გადავდგამთ ამ მიმართულებით ნაბიჯს, ეს ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

რეკომენდაციების დაცვით, პირბადეებითა თუ სოციალური დისტანციით უნდა დაიწყოს მიწების დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით.

წელს ტურისტული სეზონი ალბათ მთლიანად ჩავარდება. ამიტომ ბიუჯეტში ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს.

თქვენ არჩევნებზე მკითხეთ, თუ რა გავლენას იქონიებს ეს კრიზისი მასზე. დიახ, სწორედ წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა ეს ყველაფერი. ძალიან მძიმე პერიოდს ემთხვევა, რადგან აქ სოციალური ფონიც თავის როლს შეასრულებს. ამიტომ მთავრობას გარკვეული სოციალური კალათის შექმნა მოუწევს, სადაც აუცილებელი პროდუქციის ჩამონათვალი გაკეთდება, რომლებზეც ფასები მეტ-ნაკლებად შენარჩუნდება.

***– წინასაარჩევნო კამპანიაში ოპოზიცია გამოიყენებს ამ მძიმე ფონს?***

– რომ გითხრათ, არ გამოიყენებსო, გულუბრყვილობა იქნებოდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრი დღეს ნამდვილად კარგად იქცევა, სწორი მიდგომები აქვთ, აგრესიულები არ არიან. კრიტიკა არის და უნდა იყოს კიდეც. მეტიც, ხელისუფლებამ ეს კრიტიკა კი არ უნდა უარყოს, თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს.

რა თქმა უნდა, ოპოზიცია ამ სიტუაციას გამოიყენებს, თუმცა მთავრობამ უნდა მოახერხოს იმ პოლიტიკური ქულების შენარჩუნება, რომლებიც მოიპოვა ვირუსთან ბრძოლაში. ამას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ანალოგიური ნაბიჯები იქნება გადადგმული ეკონომიკური მიმართულებითაც. ლარის ასეთი დონის გაუფასურება ძალიან დამაფიქრებელია.

***– ეროვნული ბანკის ნაბიჯების პარალელურად, ლარი კვლავ უფასურდება.***

– ამიტომ მიჩნდება კითხვა, ხომ არ აქვს ადგილი დამატებით სპეკულაციებს ლარის კურსთან დაკავშირებით?! ხომ არ აქვს ადგილი ვინმეს მხრიდან სურვილს, არსებული რეალობა სათავისოდ გამოიყენოს და ეროვნული ვალუტა ასეთ დღეში ჩააგდოს?!

ამაზე უნდა მუშაობდნენ შესაბამისი უწყებები. ხელისუფლებას მოვუწოდებ, ამ მიმართულებით დაინტერესდეს და შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კუპონიზაცია გარდაუვალია. ეს კი რა შედეგებამდე მიგვიყვანს, რთული წარმოსადგენი არ არის.

თუ ხელისუფლება ამ ყველაფერს კარგად არ გაიაზრებს, ეს არჩევნებს დაარტყამს.

# საქართველოს მთავრობა სურსათის 9 ძირითად პროდუქტზე ფასს აზღვევს

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს.

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული რეგულაციების პირობებში, მოსახლეობისთვის სურსათის შეუფერხებლად მიწოდება მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ასევე, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ძირითადი მოხმარების 9 სასურსათო პროდუქტის – ბრინჯის, მაკარონის ნაწარმის, მზესუმზირის ზეთის, ხორბლის ფქვილის, შაქრის, ხორბლის, რძის ფხვნილის, წიწიბურასა და ლობიოს – შეუფერხებელი მიწოდება და არ მოხდეს აღნიშნულ პროდუქტზე ფასების სპეკულაციური ზრდა.

ძირითადი მოხმარების 9 სასურსათო პროდუქტზე ფასის ზრდის რისკის დაზღვევის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა“.

პროგრამას განახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“, სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ ერთად.



ყველა იმ იმპორტიორი კომპანიისთვის, რომლებიც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით განახორციელებენ 9 ძირითადი პროდუქტის საქართველოში იმპორტს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ მოხდება სავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირება.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს ორგანიზებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც მათ პროექტის პირობები და პროცედურები გააცნეს. იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი პროექტი დროული და ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო მხარდაჭერაა, რაც ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრას 30-მდე იმპორტიორი კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

# ნინო ბურჯანაძე: „რა გახდა რამდენიმე ჩარტერის დანიშვნა ჩვენი მოქალაქეებისთვის“

– ვიცი, რომ მთავრობა მუშაობს, მაგრამ ძალიან გაუგრძელდათ მუშაობა, – ასე გამოეხმაურა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ემიგრანტების სამშობლოში ჩამოყვანის საკითხს.

– ამდენი ხნის განმავლობაში რა გახდა ჩვენი თანამოქალაქეების ჩამოყვანა. მაგალითად, იორდანიაში სტუდენტები არიან ჩარჩენილები, რომლებიც ვიდეომიმართვებს ავრცელებენ და ამბობენ, რომ 3 დღის საჭმლის ფული აქვთ დარჩენილი. მესმის, რომ იორდანიაში პირდაპირი ფრენები არ გვაქვს, მაგრამ მეგობარი სახელმწიფოები, მათ შორის უკრაინა ახორციელებს ფრენებს და მესამე სახელმწიფოს მეშვეობით შეიძლება ამ ადამიანების ჩამოყვანა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ გარდა გარდა სტუდენტებისა, საზღვარგარეთ არიან ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებიც მუშაობდნენ, სიმწრით ნაშოვნ ფულს აგზავნიდნენ და ამით კვებავდნენ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს. კარგად გაითვალისწინეთ, ვინც იქ არის დარჩენილი და გვეხვეწებიან, დავეხმაროთ სამშობლოში დაბრუნებაში, არიან უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

ასე რომ, მთავრობის ძალისხმევა საკმარისად ვერ ჩაითვლება. რა გახდა რამდენიმე ჩარტერის დანიშვნა, რომ ჩვენი მოქალაქეები არ იყვნენ მიტოვებული სხვადასხვა ქვეყნის აეროპორტში და არ იხვეწებოდნენ ჩამოყვანას. ამიტომ მივმართავ ხელისუფლებას, დროულად იქნეს ეს ხალხი ჩამოყვანილი და კარანტინში მოთავსებული, – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ასევე გამოეხმაურა სოციალურ ქსელში მოსახლეობის განცხადებებს, რომ ემიგრანტები არ უნდა ჩამოვიყვანოთ იმის შიშით, რომ ვირუსს ჩამოიტანენ.

– თქვენი შვილები, თქვენი დედები, თქვენი ოჯახის წევრები რომ იყვნენ იქ, ასე ისაუბრებდით? ვინ არის ის ხალხი, ვინც ასე საუბრობთ? ქართველები ხართ? მართლმადიდებლები ხართ? როგორ წერთ, რომ ჩვენი თანამოქალაქეები არ ჩამოვიყვანოთ და გასაჭირში მივატოვოთ.

მინდა ყველას მოგიწოდოთ, ყველა გასაჭირში მთავარი წამალი თანაგრძნობა და სოლიდარობაა. ნუ დავკარგავთ ამ გრძნობას, თორემ კორონავირუსზე უარეს განსაცდელში აღმოვჩნდებით. მეტი თანადგომა გამოვუცხადოთ ჩვენს ემიგრანტებს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



# ირაკლი ოქრუაშვილი მატროსოვის ციხიდან სასამართლოში დისტანციურად ჩაერთო



ბუტა რობაქიძის საქმეზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბრალდებული ირაკლი ოქრუაშვილი საკუთარ სასამართლო პროცესზე სპეციალური პროგრამის საშუალებით ე.წ. მატროსოვიდან დისტანციურად ჩაერთო.

ირაკლი ოქრუაშვილი ბოლო პერიოდის განმავლობაში სასამართლო განხილვებში არ მონაწილეობდა და სხდომებს არ ესწრებოდა. გუშინ, 26 მარტს, ის პირველად ჩაერთო საკუთარი საქმის განხილვაში.

სასამართლო პროცესზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა და, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ის ძალაში დარჩა. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განუცხადა.

– სხდომა გაიხსნა, არსებითი განხილვის პირველი სხდომა იყო, მოსამართლემ აღკვეთას გადახედა და პატიმრობა ძალაში დატოვა. შესავალი სიტყვა თქვა ბრალდების მხარემ, დაცვის მხარე 21 აპრილს ვიტყვით. ირაკლი ოქრუაშვილი დისტანციურად ჩაგვერთო, დღეს არც არაფერი ჰქონდა სათქმელი, თავისი პოზიცია დააფიქსირა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომ საერთოდ არ იყო აღკვეთის გამოყენების საჭიროება.

როგორც წესია, ბრალდების მხარე აპელირებდა, რომ ახალი გარემოება არაფერი იყო და ა.შ. მაშინ, როცა გაეროს უმაღლესი კომისარი ქვეყნებს მოუწოდებს, თუ შეგიძლიათ, პატიმრების რაოდენობა შეამცირეთო, ამ პირობებში პროკურატურა აცხადებს, რომ ახალი გარემოება არაფერია და ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვეს, – განაცხადა ჭაბაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი ნოემბერში წაუყენეს. ორივე მათგანს ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

# კარლ ჰარცელი: „საქართველო ის საუკეთესო ადგილია, სადაც შეიძლებოდა ვყოფილიყავი ამ რთულ დროს“



ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი კორონავირუსის გამო ჯანდაცვისა და ეკონომიკის კუთხით არსებულ გამოწვევებზე საუბრობს.

დიპლომატი სპეციალურ მიმართვაში აღნიშნავს, რომ ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორი და ყველაზე ძლიერი პარტნიორია და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

– მინდა, გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და აღფრთოვანება გამოვხატო სამედიცინო სფეროს მუშაკების, ექიმების, ექთნების, სამართალდამცველების, მესაზღვრეებისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც ამ დღეებში დაუღალავად შრომობენ მოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის. ეს კრიზისი არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობას შეეხება, არამედ უდიდესი გამოწვევაა ეკონომიკისთვის. ჩემთვის დიდი პატივია, ვიმუშაო სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით, საჭიროებებისა და სამომავლო გზების გამოსავლენად.

ევროკავშირი საქართველოს გვერდითაა. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორი და ყველაზე ძლიერი პარტნიორია და ეს მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენ ველოდებით სპეციალური ზომების მიღებას ეკონომიკის, ბიზნესისა და საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად.

ეს აუცილებლად ძალიან გრძელი პროცესი იქნება, მაგრამ ამ პროცესში ერთად ვიქნებით. ეს არის დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთზე უნდა ვიზრუნოთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ საქართველო ის საუკეთესო ადგილია, სადაც შეიძლებოდა ვყოფილიყავი ამ რთულ დროს.

თავს გაუფრთხილდით და გააგრძელეთ ერთიანი ძალისხმევა, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

# აზიის განვითარების ბანკი საქართველოს კორონავირუსთან ბრძოლაში მხარდაჭერას უცხადებს

აზიის განვითარების ბანკი კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს.

ამის შესახებ იყო საუბარი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის პრეზიდენტსა და ფინანსთა მინისტრს შორის სატელეფონო საუბრისას.

ინფორმაციას აზიის განვითარების ბანკი ავრცელებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო ორმაგ შოკს განიცდის პანდემიის პირდაპირი და ნავთობზე ფასების დაცემის არაპირდაპირი ზემოქმედების გამო.

ორგანიზაციის შეფასებით, დარტყმა განსაკუთრებით რთული ტურიზმისა და მომსახურების სხვა სექტორებისთვის იქნება.



# ბათუმის ინფექციურის დირექტორი ციური აბულაძე თვითიზოლაციაშია

## „კარგად ვარ, შაბათს 14-დღიანი ვადა დამისრულდება“



– კორონავირუსის საეჭვო ნიშნები არ აღმენიშნება, თავს კარგად ვგრძნობ.

ამის შესახებ ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა ციური აბულაძემ „ინტერპრესნიუსთან“ სატელეფონო საუბრისას განაცხადა.

ციური აბულაძე ამბობს, რომ გერმანიაში სამი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა და 14 მარტს საქართველოში დაბრუნდა.

– თვითიზოლაციაში ვარ. 21 თებერვალს ჯერ კიდევ კორონავირუსი არ იყო დადასტურებული არც გერმანიასა და არც საქართველოში – შვებულება ავიღე და ჩემს შვილთან წავედი, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს გერმანიის ქალაქ ბრემენში.

იქ სამი კვირის განმავლობაში ვიმყოფებოდი. 14 მარტს მიუნხენის გავლით თბილისში ჩამოვედი. თვითიზოლაციას ვექვემდებარები, რადგან ამის პირობები მქონდა. ნათესავმა დამითმო ფართი და ვიმყოფები ცალკე, თვითიზოლაციაში.

შაბათს დასრულდება 14-დღიანი ვადა და ორშაბათიდან სამსახურში შეგიძლიათ მიხილოთ.

საეჭვო არაფერია, მედიკოსების მხრიდან მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვარ, – განაცხადა ციური აბულაძემ.

# ახალქალაქში, ენზელ მკოიანის სახლთან, სროლა იყო



ახალქალაქში სროლასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 126-1პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დაიწყო, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობასა და იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, სხვა დეტალები უცნობია და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სროლა „ქართული ოცნების“ დეპუტატ ენზელ მკოიანის სახლთან იყო.

# ქუთაისში ფოსტის ჯიხური გატეხეს



ქუთაისში საქართველოს ფოსტის ჯიხური გატეხეს.

შემთხვევა ფალიაშვილის ქუჩაზე 25 მარტს მოხდა.

ჯიხურის თანამშრომლის განცხადებით, წაღებულია სიგარეტები, თუმცა, რა ოდენობის, უცნობია.

მისივე თქმით, ჯიხურში თანხა არ იყო.

ადგილზე სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. დაწყებულია მოკვლევა.

# ევროპაში სიტუაცია ძალიან სერიოზულია, თუმცა გამამხნევებელი ნიშნებიც ჩანს



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპული ოფისის ინფორმაციით, კორონავირუსთან ბრძოლაში გამამხნევებელი ნიშნები გამოჩნდა, თუმცა ჯერ კიდევ ადრეა იმის თქმა, რომ ყველაზე უარესი უკან დარჩა.

– სიტუაცია ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულია, თუმცა ჩვენ უკვე ვხედავთ ზოგიერთ გამამხნევებელ ნიშანს. იტალიამ, რომელსაც რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ინფექციების, მცირეოდენი შემცირება აჩვენა ახალ შემთხვევებში. თუმცა, ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ ქვეყანაში პანდემია პიკშია, – განაცხადა ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა, ჰანს კლუჯემ.

# ელისაბედ II-ის კორონავირუსით დაავადებულ შვილთან შეხვედრის თარიღი დაზუსტდა



ცნობილი გახდა პრინც ჩარლზის დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-თან ბოლო შეხვედრის თარიღი. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ისინი ერთმანეთს 12 მარტს შეხვდნენ.

აქამდე, თავად 71 წლის პრინც ჩარლზის განცხადების თანახმად, ის ბოლოს დედას 9 მარტს შეხვდა. თუმცა მოგვიანებით მონაცემები დააზუსტეს. ორშაბათს, 23 მარტს უელსის პრინცს კორონავირუსის ინფექციაზე ანალიზები აუღეს. მეორე დღეს გამოცხადდა, რომ მისი შედეგი დადებითია.

ბუკინჰემის სასახლესთან დაახლოებული ინფორმირებული წყაროს ცნობით, ამ დროისთვის დედოფალი ელისაბედ II თავს კარგად გრძნობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# აშშ-მ კორონავირუსის წინააღმდეგ 2.2 ტრილიონი დოლარი გამოყო



აშშ-ის სენატმა ერთხმად დაუჭირა მხარი ანტიკრიზისულ პაკეტს, რომელიც კორონავირუსთან ბრძოლისათვის თანხების გამოყოფას ითვალისწინებს. აშშ-ის ხელისუფლებამ საამისოდ 2,2 ტრილიონი დოლარი გამოყო. პაკეტში ჩადებულია ის თანხა, რომელიც მუშების, ბიზნესმენების, ექიმების და ა.შ. დასახმარებლადაა გამოყოფილი.

კანონპროექტი ერთხმად იქნა მიღებული.

ამასობაში, პრეზიდენტ ტრამპის ბრძანებით, ტეხასში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს

– ტეხასში რადიკალური ზომები დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს, – განაცხადა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რიგ რეგიონში, სადაც საგანგებო წესები მოქმედებენ, ვითარება ნელ-ნელა სტაბილურდება.

– იმედი მაქვს, რომ ეს შტატები ნორმალურ რიტმს მალე დაუბრუნდებიან, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

# ნინო სალუქვაძეს რეკორდი გადაედო




ტოკიოში გასამართი ზაფხულის 32-ე თამაშები ნინო სალუქვაძისთვის მე-9 უნდა ყოფილიყო. ოლიმპიადაზე მოხვედრებით ქართველ რეკორდსმენს ლიცენზია უკვე მოპოვებული ჰქონდა და სროლის სახეობებში მსოფლიოს მასშტაბითაც რეკორდის თანაავტორი გახდება, თუმცა იქ მონაწილეობა ერთი წლით გადაედო.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის გამარჯვებულია.

**ნინო სალუქვაძე:**

– ასეთ რამეს არავინ მოელოდა და არც რამე გამოცდილება არა აქვს არავის. ამიტომ უნდა დავემორჩილოთ საღ აზრს და ის გავაკეთოთ, რაც საჭიროა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას.

ოლიმპიური ლიცენზია მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონს, რიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორსა და ტოკიო 2020-ის ერთ-ერთ ფავორიტ გენო პეტრიაშვილსაც:

– რა თქმა უნდა, მერჩივნა, ახლა ჩატარებულიყო, რადგან დაწყებული მქონდა მიზანმიმართული მომზადება კონკრეტულად ამ ტურნირისთვის და მთელი დატვირთვით ვემზადებოდი, თუმცა, რადგან ასე გადაწყვიტეს, ეტყობა, ასე იყო საჭირო, სპორტსმენთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

ახლა მთავარია, ეს ვირუსი დავამარცხოთ, რათა ოლიმპიადაზე მაყურებელიც, სპორტსმენიც და ყველა დაზღვეული ვიყოთ. მანამდე ვვარჯიშობ, როგორც შეიძლება. გავდივართ სადმე მთაში, ტყეში, სუფთა ჰაერზე, სადაც მარტო ვიქნებით და იქ ვახერხებთ ვარჯიშს, თორემ სპორტული დარბაზები დაკეტილია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# თავდასხმა ალექსეი ნავალნიზე

რუსული დემოკრატიული ოპოზიცის ლიდერ ალექსეი ნავალნიზე თავდასხმა განხორციელდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ნავალნი რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" შენობიდან გამოდიოდა.



მას ფქვილი მიაყარეს, სახეში კი ცხელი რძე შეასხეს.

– პუტინის დეგენერატები დამესხნენ თავს, – განუცხადა ჟურნალისტებს ნავალნიმ.

ნავალნიმ „ეხო მოსკვის" ეთერიდან კონკრეტული ფაქტები მოიყვანა და განაცხადა, რომ რუსეთში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 2.000-ს მიაწია. ამან როგორც პუტინი, ისე მასთან დაკავშირებული ზოგირთი ადამიანი განარისხა:

– დავუშვათ, პუტინმა ინფიცირებულთა რაოდენობა დამალა. მერე რა? შევარცხვინე ის რუსი, რომელსაც თავისი სამშობლოს პრესტიჟის შელახვა სურს, – თქვა მსახიობმა მაშკოვმა.

თავად ნავალნი კი ამბობს, რომ პუტინის რეჟიმის მხილებას მომავალშიც გააგრძელებს.

# საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი მთავრობას დახმარებას სთხოვს

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მიხეილ ჩხენკელს მიმართავს და დახმარებას სთხოვს:

– მძიმე დრო დაუდგა ქართულ კულტურულ ყოფას, მძიმე დრო დაუდგა ქართველ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის პროცესს. ჩვენი საქმიანობის სფეროსათვის განსაკუთრებულად ხაზგასმულია ის სიძნელეები, რომელიც დაკავშირებულია ქორეოგრაფიული ხელოვნების საშუალებით მოზარდი თაობის აღზრდის ძალიან დიდი წარსულის მქონე და წარმატებულ პროცესთან.

ქართველმა ქორეოგრაფებმა, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტებმა მთელს მსოფლიოს მოსდეს ქართული საცეკვაო კულტურის სურნელება და თითქმის ყველა ქვეყნის მსმენელ-მაყურებელს გააცნეს ჩვენი ეროვნული საცეკვაო კულტურა. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა წარმოიქმნა არაორდინალური ვითარება, როდესაც საფრთხის ქვეშ დადგა მომავალ მოცეკვავეთა მომზადების საქმე. აღარ ტარდება ტრადიციული კონცერტები, დაცარიელდა ქორეოგრაფიული დარბაზები და უმუშევრად დარჩა პედაგოგ-ქორეოგრაფები. ეს ისეთი საფრთხეა, რომელიც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს. კერძოდ, შეწყდეს ქორეოგრაფთა მომზადების პროცესი და ამით ჩამოქვეითდეს ქართული საცეკვაო კულტურის სახე. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი სამწუხაროდ ველარ უმკლავდება აღნიშნულ სიძნელეებს. ამიტომ საჭიროა საგანგებო ღონისძიებები კერძოდ, აუცილებელი დამატებითი დაფინანსების მოძიება და გამოყოფა.

იმედი გვაქვს თქვენ აღნიშნული პრობლემის არსი კარგად გესმით და ხელგეწიფებათ ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ჩვენის მხრიდან მზად ვართ შევქმნათ სპეციალური სამუშაო გეგმა და სწორედ ამ საფუძველზე განვკარგოთ მოძიებული თანხები, – ნათქვამია ქორეოგრაფთა კავშირის ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მსოფლიოს ნახევარი სრულ ან ნაწილობრივ იზოლაციაშია

მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი იზოლაციაში იმყოფება. ინფორმაციას „ფოქს ნიუსი" ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით სულ მცირე 41 ქვეყნის 3 მილიარდი მოსახლეობა ნაწილობრივ ან სრულ კარანტინში ცხოვრობს, აქედან 2 მილიარდამდე მკაცრ იზოლაციაში.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უახლესი მონაცემების თანახმად, მსოფლიოში კორონავირუსული ინფექციის 488.400 შემთხვევაა. მათგან 115,8 ათასი ადამიანი განიკურნა, ხოლო 21.5 ათასი გარდაიცვალა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ღამის კლუბში კარანტინიდან გაპარულ მამაკაცს ჯარიმა დაეკისრა



ტაივანის მკვიდრი მამაკაცი მილიონი ტაივანური დოლარით მას შემდეგ დააჯარიმეს, როდესაც მან კარანტინის პირობები დაარღვია და გასართობად ღამის კლუბში წავიდა.

მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან დაბრუნდა და ვალდებული იყო, რომ 14 დღე სახლში თვითიზოლაციაში გაეტარებინა. კვირას, 22 მარტს, პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ის ღამის კლუბში იმყოფებოდა. ეს დაწესებულების მორიგი შემოწმების დროს მოხდა.

მეორე დღეს ხელისუფლებამ კარანტინის პირობების დამრღვევს, მაქსიმალურად შესაძლებელი ჯარიმა, ერთი მილიონი ტაივანური დოლარი დააკისრა.

– ყველა ის ადამიანი, რომელსაც ვნახავთ ხალხის თავშეყრის და ცუდად გასანიავებელ შენობებში, გადაგზავნილი იქნებიან ეპიდემიის პროფილაქტიკის ცენტრში და დაჯარიმდებიან მილიონი ტაივანური დოლარით. შეღავათები არავისთვის იქნება, – განაცხადა ქალაქ ნიუ-ტაიბეის მერმა ხოუ იუ-იმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თავისუფალი თეატრი საუკეთესო სპექტაკლებს ინტერნეტით გვაჩვენებს




თავისუფალი თეატრი მის რეპერტუარში არსებულ საუკეთესო სპექტაკლებს ათასობით მაყურებელს ინტერნეტით აჩვენებს. მათ შორის იქნება ის სპექტაკლებიც, რომლებშიც ნიკო გომელაური მონაწილეობს:

– „თავისუფალი თეატრი" სპეციალურად თქვენთვის იწყებს თავისი საუკეთესო სპექტაკლების ვიდეო ჩვენებას.

მთელი კვირის მანძილზე ჩვენ ყოველდღიურად დავდებთ თითო სპექტაკლის ჩანაწერს, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ ნებისმიერ დროს, შეგიძლიათ გადმოიწეროთ და შეავსოთ თქვენი ვიდეოკოლექცია, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ღვთისმსახურმა საკუთარი რესპირატორი პაციენტს მისცა და თავად კორონავირუსისგან გარდაიცვალა

იტალიაში ღვთისმსახურმა პაციენტს მრევლის მიერ ნაჩუქარი რესპირატორი მისცა და თავად კორონავირუსისგან გარდაიცვალა.

72 წლის ჯუზეპე ბერარდელიმ რესპირატორი მიიღო საკუთარი მრევლისგან, რომელიც მისი ჯანმრთელობის გამო წუხდა. თუმცა ეკლესიის მსახურმა გადაწყვიტა, ის უფრო ახალგაზრდა უცნობისთვის მიეცა, რომელსაც სუნთქვის პრობლემები აწუხებდა. მალე ღვთისმსახური კორონავირუსით დაინფიცირდა და ადგილობრივ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მომხდარის თაობაზე ისაუბრა გარდაცვლილი ღვთისმსახურის კოლეგამ აშშ-დან ჯეიმს მარტინმა.



– ის კეთილშობილი მოწამეა. წმინდანი, როგორც მაქსიმილიან კოლბე – ღვთისმსახური, რომელიც ოსვენციმში დაიღუპა, რომელიც საკუთარი სურვილით წავიდა სიკვდილზე მისთვის სრულიად უცნობი ადამიანის მაგივრად, – აღნიშნა ტვიტერში საკუთარ გვერდზე ამერიკელმა ღვთისმსახურმა, – ჯუზეპე ბერარდელი, დაიფარე ისინი, რომლებიც კორონავირუსისგან იტანჯებიან და ისინიც, ვინც დასნებოვნებულებზე ზრუნავენ. ილოცე ჩვენთვის!


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის" შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ჯიჯი ბუფონი: „იუვეში უფრო დაბალ ფასადაც გადავიდოდი“

**ახლა ფეხბურთისთვის არავის სცალია. მთელი მსოფლიო პლანეტაზე გავრცელებული პანდემიის შიშშია. არც რამე ტურნირები ტარდება, ყველაფერი გადადებულია. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ძველი ამბებისა თუ ინტერვიუების გახსენება.**

**მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ახსოვს ფეხბურთელები, რომლებზეც ასაკი დადებითად აისახებოდა. წლების წინ გახედვა არ დაგვჭირდება: მილანის ინტერის არგენტინელი კაპიტანი ხავიერ ძანეტი 40 წლის ასაკშიც შეუდარებელი იყო, ისევე, როგორც მანჩესტერ იუნაიტედის სიმბოლო, უელსელი რაიან გიგზი.**

**პატარა არც ჯანლუიჯი ბუფონს ეთქმის... ბრაზილიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის მე-5 იყო. შეეძლო, რუსეთში უკვდავ რეკორდს შესწვდომოდა, მაგრამ...**

**გთავაზობთ იტალიელი ჟურნალისტის ინტერვიუს იტალიური ფეხბურთის ლეგენდასთან.**



***– ბავშვობაში მეკარე კი არა, ნახევარმცველი იყავით. მართალია?***

– ასე იყო. მგონი, ყველა ბავშვი იმიტომ იწყებს ფეხბურთის თამაშს, რომ გოლის გატანა უნდა. მეც ზუსტად ეს მინდოდა – ბურთის შეგდება უფრო მსიამოვნებდა, ვიდრე კარში დგომა. მარტო ნახევარდაცვაში არ ვთამაშობდი, ხანდახან ფორვარდიც ვიყავი. იტალიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მეკარეობა უკეთესი იყო – მაშინ კამერუნის ნაკრებმა ითამაშა, მე კი მათი მეკარით ტომას ნკონოთი მოვიხიბლე.

***– თავის დროზე მამათქვენი იუნიორ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე მე-2 ადგილზე გავიდა, დედა კი იტალიის ჩემპიონი იყო ბირთვის კვრაში. რამდენად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მშობლებმა თქვენი კარიერის წარმართვაში?***

– ჩვენთან ყველა წარმატებული სპორტსმენი იყო: მამაც, დედაც და დაც, თუმცა დედაჩემი ბირთვის მკვრელი არ ყოფილა, ის ბადროს მტყორცნელი იყო. სხვათა შორის, თავის დროზე იტალიის რეკორდსმენი გახლდათ... ცხადია, მათ შემხედვარეს, მეც მსურდა, წარმატებული სპორტსმენი ვყოფილიყავი. ადრეულ ასაკში ისინი მეხმარებოდნენ, მაგრამ, როცა გავიზარდე, უკვე თავად ვიცოდი, რა იყო ჩემთვის უკეთესი.

***– ვინ იყო თქვენი კერპი და საერთოდ, ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ?***

– იყო რამდენიმე სპორტსმენი, რომლებთანაც მსგავსება მსურდა. მხოლოდ ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ: მაგალითად, ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი ივან ლენდლი იყო ჩემი კერპი, შვედი სტეფან ედბერგი, ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი... ნკონოზე უკვე გითხარით, ასევე ძალიან მომწონდა მისი თანაგუნდელი, კამერუნის იმ თაობის ლიდერი როჟე მილა. მან იტალია 90-ზე მართლა ძალიან მაგრად ითამაშა!

***– თქვენი დებიუტი პარმას ძირითად შემადგენლობაში იმ მილანის წინააღმდეგ შედგა, რომელშიც ჟორჟ ვეა, რობერტო ბაჯო და დეიან სავიჩევიჩი თამაშობდნენ. რას გრძნობდით, როცა ასეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ გახვედით მოედანზე?***

– დიდებული იყო. ახლაც მახსოვს ის მატჩი! იცით, იმ დღეს ვგრძნობდი, რომ ოცნება ამისრულდა, რეალობად იქცა ყველაფერი, რისთვისაც ბავშვობიდანვე ვემზადებოდი! სხვათა შორის, მეც და მთელმა გუნდმაც დიდებულად ვითამაშეთ – მატჩი 0:0 დასრულდა. ასეთ მეტოქეებს გოლს რომ არ გაატანინებ, ესე იგი, კარგად გვითამაშია. ვუყვირე თუ არა მცველებს? შეიძლება – კი, შეიძლება – არა. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის – მეკარის საქმე დაცვის ხელმძღვანელობაა და, თუ საამისოდ ხმის აწევაა საჭირო, არავის უნდა გაუკვირდეს.

***– 2001 წელს იუვენტუსმა თქვენ სანაცვლოდ 45 მილიონი ევრო გადაიხადა. რა გაიფიქრეთ, როცა ამის შესახებ შეიტყვეთ?***

– ოოო, დიდებული იყო! სიმართლე გითხრათ, ამხელა თანხის გამო არავითარი პრობლემა არ მქონია, თავში ავარდნასა და მსგავს ფაქტებს ვგულისხმობ. თუ ფეხბურთელი კარგია, ფასიც შესაბამისია – ამას სატრანსფერო ბაზარი განაპირობებს. ხომ იცით, კარგი მეკარე ისევე მნიშვნელოვანია კლუბისთვის, როგორც ძლიერი თავდამსხმელი, ასე რომ... ალბათ, იუვენტუსის სელექციონერებმა ნახეს ჩემი თამაში და გაიფიქრეს, რომ მათი გუნდისთვის საჭირო ვიყავი, ადგნენ და ამხელა თანხაც გადაიხადეს.

ტრანსფერი 5 მილიონი რომ ყოფილიყო, ამხელა ამბავი არ ატყდებოდა, მაგრამ 45-მა მილიონმა თავისი გააკეთა... ისე, იუვენტუსში 5 მილიონის სანაცვლოდაც გადავიდოდი, მაგრამ, მეეჭვება, პარმას ხელმძღვანელობა ბედნიერი ყოფილიყო.

***– სადღაც წავიკითხე, რომ წლების წინ მძიმე პერიოდი გადაიტანეთ – დეპრესიას ვგულისხმობ, რომლის შესახებაც გულშემატკივრებმა რამდენიმე თქვენი მეგობრის ინტერვიუდან შეიტყვეს.***

– მართალია, ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა. ვფიქრობდი, რომ მგზავრობა, ვარჯიში, მატჩები, მუდმივად რეჟიმში ყოფნა აღარ შემეძლო და დრო იყო, ყველაფერზე უარი მეთქვა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვგრძნობდი, რომ ვერ დავაღალატებდი იმ ხალხს, ვინც მენდო და ჩემში ამხელა ინვესტიცია ჩადო, უდიდესი კლუბის კარი მანდო, ქვეყნის პირველ გუნდში მიმიწვია... რთული დღეები გადავიტანე, თან, ევროპის ჩემპიონატი ახლოვდებოდა...

ამის შესახებ არასოდეს მისაუბრია საჯაროდ, რადგან ვთვლიდი, რომ ეს უაზრობა იქნებოდა. საბედნიეროდ, გარშემო იყო ხალხი, ვინც მხარში დამიდგა – იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებთანაც მართლა ძალიან ახლოს ვიყავი. ცხადია, დახმარებისთვის ფსიქოლოგსაც მივმართე... ერთი სიტყვით, ნელ-ნელა ეს პრობლემა დავძლიე.

***– რამდენად რთული გადასატანი იყო ის ამბები, რომლებიც იტალიურ ფეხბურთში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წინ მოხდა – „კალჩოპოლის“ სკანდალს ვგულისხმობთ, რის გამოც თქვენს გუნდს 2 სკუდეტო ჩამოართვეს. დაგეხმარათ თუ არა ის მოვლენები მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაში?***

– დარწმუნებული ვარ, არავის ესიამოვნებოდა ის ამბები, რომლებიც მაშინ სერია ა-ში მოხდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ, ფეხბურთელები, არაფერში ვიყავით დამნაშავე – მოედანზე გავდიოდით და საქმეს პირნათლად ვაკეთებდით. გეთანხმებით, რომ იმ ამბავმა ნაკრებზე იმოქმედა – გერმანიაში ჩასულებს გვსურდა, რომ გაგვეკეთებინა რაღაც ისეთი, რაც იმ ნეგატიურ ამბავს გადაფარავდა. ნაკრების ყველა წევრი ვხვდებოდით, რომ მატჩიდან მატჩამდე გადამწყვეტი მომენტი გვედგა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, ვერ ვიტყვი, რომ ეს „კალჩოპოლის“ სკანდალის გამო შევძელით – უბრალოდ, ჩვენ ძალიან გვინდოდა გამარჯვება და, რაც მთავარია, მზად ვიყავით ამისთვის.

***– საინტერესოა, რომელი მომენტია თქვენს კარიერაში საუკეთესო – ალბათ, ის წამი, როცა საფრანგეთთან ფინალში ზინედინ ზიდანის თავური დარტყმა ცალი ხელით მოიგერიეთ.***

– საუკეთესო? როგორ გითხრათ... ზიდანის ის მომენტი ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი წამი იყო, მაგრამ საუკეთესო? არ ვიცი, არ ვარ დარწმუნებული, რომ ის არის ყველაზე მაგარი მომენტი, თუმცა უმნიშვნელოვანესი ალბათ ნამდვილადაა!

***– „კალჩოპოლის“ შემდეგ იუვენტუსი სერია ბ-ში დააქვეითეს, თქვენ კი კლუბში დარჩით. გუნდი დატოვეს პატრიკ ვიეირამ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ფაბიო კანავარომ, ლილიან ტურამმა, ჯანლუკა ძამბროტამ, ემერსონმა... რატომ გადაწყვიტეთ ტურინში დარჩენა და რამდენად მისაღები იყო თქვენთვის სერია ბ-ში თამაში?***

– ადამიანი ცხოვრების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებებით ფასდება. იმ დროს იუვენტუსში დარჩენა იქნებ არ იყო ლოგიკური გადაწყვეტილება, მაგრამ მაშინ გულს ვენდე და, ვფიქრობ, არ წავაგე. სხვებმა სხვა გზა აირჩიეს – ეს მათი გადასაწყვეტი იყო... იყო თუ არა ადვილი სერია ბ-ში თამაში? ვერ ვიტყვი, რომ ადვილი ან სასიამოვნო იყო. ამას უფრო გამოცდილება ეთქმის, რაც ძალიან გამომადგა.

***– თქვენი თამაშის შემხედვარე, ვერავინ იფიქრებს, რომ ვინმესი გეშინიათ, მაგრამ მაინც: არსებობს თუ არა ფეხბურთელი, რომლის წინააღმდეგ ასპარეზობაც არ გსიამოვნებთ?***

– ბრაზილიელი რონალდო საუკეთესო მოთამაშეა, რომლის წინაშეც მოედანზე ვმდგარვარ – ის შეუდარებელი, ბრწყინვალე, მართლა ფენომენი იყო! იტალიელებიდან? თქვენ როგორ ფიქრობთ? რობერტო ბაჯო! მან ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ფეხბურთზე.

***– საინტერესოა, ანტონიო კონტე-ფეხბურთელი უკეთესი იყო თუ კონტე-მწვრთნელი? ცოტა უცნაური ხომ არ იყო იმ ადამიანის გაწვრთნილ გუნდში თამაში, რომელიც რამდენიმე წლის წინ თანაგუნდელი იყო?***

– უცნაური? არა, რატომ? საერთოდ არ მქონია მსგავსი განცდა. როცა ანტონიო იუვენტუსში თამაშობდა, შეუდარებელი იყო: კარგი ფეხბურთელი, ნაღდი პროფესიონალი, მისაბაძი ბიჭი... მწვრთნელად დაბრუნებულიც უმაღლეს დონეზე იდგა – იცოდი, რომ პროფესიონალთან, თავისი საქმის ზედმიწევნით კარგად მცოდნე კაცთან მუშაობდი.

***– ვინ უფრო მკაცრი მწვრთნელი იყო: ანტონიო კონტე თუ ფაბიო კაპელო?***

– ერთმნიშვნელოვნად კონტე! ის ახალგაზრდა კაცია, ყოველდღიურად ფეხბურთით ცხოვრობს და, ალბათ, ამიტომაცაა კაპელოსთან შედარებით ფიცხი. საერთოდ, მომხრე ვარ, რომ მწვრთნელმა ყველაფერი თქვას, რაც საჭიროა. ეს არც კაპელოს ეშლებოდა და არც კონტეს. საქმე ასე უკეთესად კეთდება.

***– იუვენტუსისა და ნაკრების შემადგენლობაში ხშირად გიწევთ პენალტების სერიაში მონაწილეობა. რას გრძნობთ ამ დროს?***

– ვღელავ. ასეთ დროს შანსები 50/50-ზეა და, ფეხბურთელების გარდა, მეკარეზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ვცდილობ, მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყო. ვფიქრობ, რომ ამას ვახერხებ. საერთოდ, პენალტების სერია თამაშის ის კომპონენტია, რომელიც ყველაზე მეტად არ მიყვარს.

***– ამბობენ, რომ ევრო 2012-ის ფინალის შემდეგ მარიო ბალოტელიმ ესპანელებთან წაგება თქვენ, იუვენტუსელებს დაგაბრალათ, თქვენ კი ამის საპასუხოდ ეცით და გასახდელის იატაკზე დააგდეთ...***

– არა, ეს სისულელეა, ასეთი რამ არ მომხდარა და, თანაც, მეეჭვება, მარიო ის ფეხბურთელი იყოს, რომელიც ამის თქმას გაბედავდა.

***– იშვიათად, რომ ფეხბურთელი თქვენნაირი შემართებით მღეროდეს ქვეყნის ჰიმნს. რას გრძნობთ ამ წუთებში?***

– სამშობლოს პირველ გუნდში თამაშით ძალიან ბედნიერი ვარ, ვფიქრობ, რომ იქ იმ წუთებში ყოფნით მაგრად გამიმართლა, ესაა და ეს.

***– მთელი კარიერის განმავლობაში მოკლე შორტებით რატომ თამაშობთ?***

– როგორ გითხრათ... თავს ასე უკეთესად ვგრძნობ. თან შორტებში ბავშვობიდან ვთამაშობ, ასე რომ...

***– ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავით, ვინ იქნებოდით?***

– ამაზე არ მიფიქრია. ყოველთვის თამაში მსურდა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ავისრულე. თუ რამეზე ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ რაც შეიძლება კარგად ვიასპარეზო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბარსელონაში დიდი წმენდაა მოსალოდნელი




ბარსელონა მომავალი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე ნახევარდაცვის გაძლიერებას გეგმავს.

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონა ფიზიკურად ძლიერ შუახაზელს ეძებს და ტოტენჰემის ფრანგი ფეხბურთელით, ტანგი ნდომბელეთი დაინტერესდა. ბარსას ფრანგი ნახევარმცველით ივან რაკიტიჩისა და არტურო ვიდალის ჩანაცვლება სურს.

გეტყვით, რომ 23 წლის ფეხბურთელი ტოტენჰემს ლიონიდან გასულ ზაფხულს 60 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუერთდა.

მედიის ინფორმაციით, ბარსა ნდომბელეთი მანამდეც ინტერესდებოდა, სანამ ლონდონურ კლუბში ამოჰყოფდა თავს.

გარდა ნდომბელესი, ბარსა ასევე ბეტისის ყოფილი და ნაპოლის ამჟამინდელი ფეხბურთელით, ფაბიან რუისით ინტერესდება. ესპანელს დიდი ხანია კატალონიურ გრანდს უკავშირებენ. ამასთან, რუისი კიკე სეტიენთან ერთად სწორედ ბეტისში მუშაობდა.

მედია იმასაც იტყობინება, რომ 23 წლის ფეხბურთელის ფასმა, შესაძლოა, ბარსელონას დიდი პრობლემა შეუქმნას. კორონავირუსის პანდემიის მიერ მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, კატალონიელებს მასში 100 მილიონი ევროს გადახდა გაუჭირდებათ. მედია იმასაც დასძენს, რომ ბარსას სწორედ ამდენის გადახდა მოუწევს.

ბარსელონა ხაზინის შევსებას ფეხბურთელების გაყიდვით ეცდება. გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში არიან: ანტუან გრიზმანი (120 მილიონი), ივან რაკიტიჩი (25 მილიონი), არტურო ვიდალი (14 მილიონი), სამუელ უმტიტი (40 მილიონი), ნეტო მურარა (18 მილიონი), მარტინ ბრაიტვეიტი (12 მილიონი), ფილიპე კოუტინიო (70 მილიონი) და კარლეს ალენია (20 მილიონი).

ჯერ კიდევ ღიაა ნელსონ სემედუსა და უსმან დემბელეს საკითხიც და არაა გამორიცხული, ორივეს მოუწიოს ესპანეთიდან აბარგება.

ამრიგად, ბარსელონაში დიდი წმენდა იგეგმება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები უშუალოდ ზაფხულში.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 2. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 3. სპარსელი პოეტი; 5. გერმანული ავტომობილი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. კომერციული საქმიანობა; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 16. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. ოჯახის მფარველი ღვთაება ძელ რომში; 4. ქართული ჟურნალი; 7. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. შესანახად დამჟავებული ბოსტნეული; 11. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 12. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. თურქეთის დედაქალაქი; 17. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლზენი; 2. რიკოთი; 3. იფქლი; 5. ბივა; 6. სესილი; 8. ბორნეო; 11. აბსოლუცია; 13. გოტარდი; 14. ლატავრა; 15. ტოლსტოი; 19. იენი.

**თარაზულად:** 1. პოლიქრომია; 4. ერებუსი; 7. ზანდუკი; 9. ლაკოსტა; 10. თართი; 12. პანთეონი; 16. ხოჭოლავა; 17. ეტალონი; 18. სამტრედია; 20. იაგუარი; 21. თითა; 22. კოსტიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეუალად:** 1. უშტი; 2. რევიუ; 3. ელინგი; 5. ოდიში; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. ხილნარი; 14. ფელახი; 15. ვალიზა; 16. სქემა.

**თარაზულად:** 1. უშქარი; 4. კოდექსი; 7. ყავარი; 9. გოდინი; 11. პრიკაზი; 12. ხაბელოვი; 13. ორვილე; 17. ბრეცია; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. პირამიდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4576

ევრო — 3.7370

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.1190

100 რუსული რუბლი — 4.4135

## ამინდის პროგნოზი 27 მარტისთვის




# გიორგი კეკელიძე ასაკოვან თანამშრომლებს დანამატებს დაურიცხავს

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე ასაკოვან თანამშრომლებს საპენსიო ბარათებზე დანამატებს დაურიცხავს:

„ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების ის ნაწილი, ვისაც ამის მცირედი საშუალება გვაქვს, სამოცდაათ წელს გადაშორებული განსაკუთრებული საჭიროების თანამშრომლებისთვის და ზოგიერთი ყოფილი თანამშრომლისთვის, ვქმნით სახელდახელო ფონდს და მათ საპენსიო ბარათებზე დანამატებს დავურიცხავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა საკუთარი თანამშრომლების ნაცვლად ვიმუშავებთ, იმ ძირითადი საჭიროებების შესასრულებლად, რაც ახლა გვაქვს — წიგნების სკანირება და სასწაო დაწესებულებებისთვის ელექტრონულად მიწოდება.

ჩვენი წიგნის სახლუკა, საიდანაც ახალი გამოცემების წაღება შეგეძლოთ ბიბლიოთეკის დახურვის გამო, რადგანაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, დროებით დაიხურება, რადგან იქ თეორიულად, შეიძლება ათმა და მეტმა ადამიანმა მოიყაროს თავი რიგში.

მე ასე ხშირად ვეღარ შეგეხმიანებით, რადგან საქმე გაათმაგდა. იყავით მტკიცედ! და რაც მთავარია დარჩი სახლში!

# გიორგი სუხიტაშვილს ფულს სთხოვენ



მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს ფულს სთხოვენ, რის გამოც ის იძულებული გახდა საჯარო განმარტება გაეკეთებინა:

— ბოლო დღეებია აქტუალურია ფულის სესხების საკითხი და მეც ბევრი მომმართავს. ერთმა კარგმა ადამიანმა მომღერლებს მოგვიწოდა რომ დავეხმაროთ, თუნდაც მცირედით ჩვენს მოსახლეობას.

ძალიან განვიცდი ამ მდგომარეობას რომელშიც ყველა ჩვენთაგანი აღმოჩნდა და რომელიც არავის ბრალია არ არის.

რაც შეეხება მომღერლებს და მათ შემოსავლებს. მოდით, გავიაროთ ეს საკითხი:

1. თქვენი აზრით მომღერლის პროფესია რა შემოსავალს გულისხმობს?

2. თებერვლის მერე მე პირადად კონცერტი სადაც რამეს გადამიხდიდნენ არ მქონია, ითვლება რომ მოთხოვნადი ვარ და ცოტა კონცერტი არ მაქვს.

3. თუ რაიმე სხვა შემიძლია რას არ ვაკეთებ რომ ადამიანებს გავუხალისო და ცოტა გადავაგორებინო ეს პერიოდი.

ამიტომ იმის თქმა რომ მცირედით დავეხმაროთ მომღერლები მოსახლეობას ცოტა გაუგებარია.

4. ჩვენც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და იგივე გამოწვევებია წინაშე ვდგავართ როგორც სხვა დანარჩენი, შეიძლება უფრო რთულადაცაა საქმე, მეც გადავავადე სესხი სამი თვით რადგან არ ვიცოდი რომ ვერ შევძლებდი გადახდას.

5. მითები რომ მომღერალი მდიდარია არის ბლეფი!

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: 14 თებერვლის მერე კონცერტი არ მქონია ამიტომ ამ შენიშვნას ვერ მივიღებ.

ვცეთ პატივი ერთმანეთს შევიყვაროთ და დავეხმაროთ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# იუმორი

მიმდინარეობს განქორწინების საქმის მოსმენა. მოსამართლე:

— თუ შეიძლება გაგვაცანით ის მიზეზები, რომელმაც გაიძულათ, რომ განქორწინება მოგეთხოვათ.

ცოლი:

— საქმე ისაა, ბატონო მოსამართლევ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ გავიგე, რომ ჩემი ქმარი იყო იმ ბინის მფლობელი, რომელშიც თხუთმეტი წელი ქირით ვცხოვრობდით...

მოსამართლე:

— უხ, შენი... გენიალურია!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— კვლევების თანახმად დადგინდა, რომ წყვილი, რომელიც რეგულარულად ერთად მოიხმარს ალკოჰოლს, ნაკლებად ჩხუბობს და მათი ურთიერთობა უფრო მყარია.

— ჰო, მაგრამ, ძვირფასო, არა ყოველდღე!

— ხელს ნუ მიშლი ჩვენი ბედნიერებისთვის ბრძოლაში!

●●●

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გოგო, როგორ გამხდარხარ!

— ქმარი მღალატობს, ვღელავ, ვნერვიულობ...

— შენც ადექი და გაშორდი!

— არ შემიძლია...

— რატომ?

— კიდევ სამი კილოგრამი მაქვს დასაკლები.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ფული აიღე და მაღაზიაში ჩადი!

— მაღაზიებში სიარული კაცის საქმე არ არის!

— მაშინ შედი საძინებელში და გაიხადე, მალე შემოვალ!

— რა მოხდა, გახუმრებაც აღარ შეიძლება... ფული სად დევს?

●●●

შვილი დედას ეუბნება:

— დედიკო, შენ მე გამაჩინე, ჩემამდე გააჩინე ლევანი, ლევანიმდე გააჩინე ლეილა, ლეილამდე გააჩინე მამა...

— არა, შვილო, მამა მე არ გამიჩენია.

— მაშინ რა გამოდის, რომ მამა, მოგდებულია?

●●●

კაცმა ავტობუსში ცხვირი დაცემინა. ყველამ შეშინებული სახით შეხედა, ერთ-ერთი მგზავრი კი ეკითხება:

— კორონავირუსი გაქვთ?

— არა, ტუბერკულოზი!

— მადლობა ღმერთს!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ედენ აზარი: „რეალში პირველი სეზონი არ გამომივიდა“



მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ პირველი სეზონი რეალში არ გამოუვიდა და სურს, ეს სეზონი ყველამ დაივიწყოს.

აზარის აზრით, შემდეგი სეზონი გაცილებით უკეთესი იქნება:

— პირველი სეზონისგან გაცილებით მეტს ველოდი და სამწუხაროა, რომ არ გამომივიდა, მაგრამ ამაში ხელი ტრავმებმა შემიშალა. დარწმუნებული ვარ, რეალში კიდევ არაერთ სეზონს გავატარებ და გულშემატკივარს ვაჩვენებ, რა შემიძლია.

აზარმა წლევანდელ სეზონში ტრავმების გამო ბევრი გამოტოვა და ის ახლაც ტრავმირებულია.

# ლა ლიგა გუნდებს ფინანსურად დაეხმარება

ესპანეთის საფეხბურთო ფედერაცია გუნდებს ფინანსურად დაეხმარება.

ფედერაცია დაახლოებით 500 მილიონ ევროს გამოყოფს, რომელიც შედარებით ნაკლებად მდიდარ გუნდებს გადაუნაწილდებათ.

კორონავირუსის გამო ესპანეთის ჩემპიონატი დროებით შეჩერებულია და ჯერჯერობით უცნობია, როდის განახლდება. ამის გამო ბევრმა გუნდმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა და მათთვის ფედერაციის დახმარება აუცილებელია.

# მანჩესტერ იუნაიტედს გრიზმანის ყიდვა ისევ სურს



მანჩესტერ იუნაიტედს ანტუან გრიზმანის ყიდვა ისევ სურს და მზად არის, ზაფხულში მასში 100 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ეს თანხა ბარსელონას, სავარაუდოდ, არ დააკმაყოფილებს, რადგან მან გრიზმანი უფრო ძვირად შეიძინა.

იუნაიტედს გრიზმანის ყიდვა რამდენიმე წლის წინაც სურდა, მაგრამ მაშინ ატლეტიკომ თავისი ლიდერი არ დათმო, შემდეგ კი ანტუანმა ბარსელონა აირჩია.

წლევანდელ სეზონში გრიზმანს არასტაბილური თამაშის გამო საკმაოდ ხშირად აკრიტიკებენ.

# კრიშტიანო რონალდუ იუვენტუსიდან წასვლას განიხილავს



პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ იუვენტუსში კარიერის დასრულებას არ აპირებს და, შესაძლოა, მან იუვენტუსი დატოვოს.

რონალდუ პსჟ-ს ვარიანტს განიხილავს და პარიზულ გუნდში გადასვლის წინააღმდეგი არ არის. ამჟამად კრიშტიანო, კორონავირუსის გამო, მშობლიურ პორტუგალიაში იმყოფება და ჯერჯერობით ცნობილი არ არის, იტალიაში როდის დაბრუნდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ქეთი დოლიძეს შუქი ჩაუჭრეს

რეჟისორ ქეთი დოლიძეს შუქი ჩაუჭრეს. მიზეზი გადახდის 12-საათიანი დავალიანება გახდა:

— თელასის წარმომადგენელმა დააჭირა სადარბაზოს ღილაკს ხელი! მეზობელს სთხოვა კარი გამიღეთო! ჩემთან არც დაურეკავს და არც გავუფრთხილებივარ!



შემოვიდა სადარბაზოში და ჩამიჭრა შუქი! 12 საათით გადავაცილე გადახდა!

რომ ავტეხე ამბავი ონლაინ, უკვე, 20 წუთით ადრე მქონდა გადახდილი, მობრძანდნენ და ჩამირთეს!

თქვენ, ვინც დადიხართ და ისედაც გადარეულ ხალხს ასეთ სტრესში აგდებთ, ან დედა არ გყავთ, ან ოჯახში არ ცხოვრობთ?!

ვინ ხართ, ვინ!

მტარვალებო!

დარეკვას რა უდგას წინ, თქვე უნამუსოებო?!

# ასტროპროგნოზი



## 27 მარტისთვის

**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** — ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** — თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** — დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** — განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** — დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** — ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **მორიელი** — საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** — ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** — აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** — პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** — თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. მთიანეთი ევროპაში; 2. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 6. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. მთავარი ქუჩა ნიუ იორკში; 14. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. აფრიკული ანტილოპა.

**თარაზულად**: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 7. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქართული ცეკვა; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებს შორის მდებარე ზღვა; 20. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ტბა თბილისში; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

